პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

ხუთშაბათი 3 აპრილი 1941 წ. № 78 (6083) ფასი 15 კაპ.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

## სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლით მივაღწიოთ უხვი მოსავლის მიღებას

## ამიერ-კავკასიის რკინიგზამ სანიმუშოდ უნდა იმუშაოს

ამიერ-კავკასიის **ლ. პ. ბერიას** სახელობის რკინიგზამ, სტალინური ხუთწლედების განმავლობაში ძირეული რეკონსტრუქცია განიცადა, იგი თანამედროვე, კარგად შეიარაღებულ სატრანსპორტო მაგისტრალად იქცა, რამაც გზის კოლექტივს საშუალება მისცა მნიშვნელოვანი წარმატებებისათვის მიეღწია.

ათი წლის მანძილზე გაიზარდა მუშაობის მოცულობა, გაიზარდა ტვირთბრუნვა, გადიდდა ტვირთზიდვის ტემპები, შრომის ნაყოფიერება, შემცირდა ზიდვის თვითღირებულება და მანამდე უკანასკნელთა რიგებში მდგომი ამიერ-კავკასიის რკინიგზა მოწინავეთა რიგებში ჩადგა, შრომის ნაყოფიერების ზრდისა და ზიდვის თვითღირებულების შემცირების შედეგად გზა მომგებიანი გახდა.

ამგვარად მიღწევები უმნიშვნელო არ არის და ისინი მოპოვებულია რკინიგზელთა საყვარელი სახკომის ამხ. ლ. მ. კაგანოვიჩის სტალინური ხელმძღვანელობით, ამიერ-კავკასიის მოძმე კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების აქტიური დახმარებით.

ყველა ეს ხელსაყრელი პირობები სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ ამიერ-კავკასიის რკინიგზის ტრანსპორტი სანიმუშოდ, კარგი საათის მექანიზმივით მუშაობდეს, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ჯერ კიდევ არ არის მიღწეული. ეს აშკარად იგრძნობა.

„რკინიგზის ტრანსპორტზე არ სრულდება ვაგონების ბრუნვის დაწესებული ნორმები და ჯერ კიდევ დიდია ავარიათა რაოდენობა. მთელ რიგ რკინიგზებზე ცუდად ასრულებენ უმნიშვნელოვანესი ტვირთების ზიდვას, ჯეროვ-...

...ფაქტი, რომ ერევნის სადგურის ტერიტორიიდან ამ დღეებში 120 ვაგონი ნაგავი გაზიდეს, ცხადჰყოფს, თუ რა უსუფთაობას ჰქონდა ადგილი გზის ცალკეულ საწარმოებში.

ყველაფერი ეს იმის შედეგია, რომ გზის სამმართველო და პოლიტგანყოფილება სუსტად ხელმძღვანელობენ ხაზებს. საგზაო საწარმოო-სამეურნეო აქტივმა, რომელიც ამ დღეებში ჩატარდა, სავსებით მართებულად მიუთითა ამ გარემოებაზე გზის სამმართველოს და პოლიტგანყოფილების ხელმძღვანელობას. გზაზე ჯერ კიდევ დაბალია შრომის დისციპლინა და, რაც მთავარია, დისციპლინას არღვევენ არა მარტო რიგითი რკინიგზელები, არამედ მეთაურები და პოლიტგანყოფილებათა მუშაკებიც. ავარიები და მარცხები სწორედ ამ უდისციპლინობისა და უნიათობის შედეგია. ყველგან დანერგილი არ არის ხელმძღვანელობის ბოლშევიკური სტილი და ცოცხალ ოპერატიულ ხელმძღვანელობას კანცელარულ-ბიუროკრატიული მეთოდი ჰფარავს, უზრუნველყოფილი არ არის ბრძანებათა და განკარგულებათა შესრულების მტკიცე, სისტემატური კონტროლი.

რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობის ერთერთ მთავარ ნაკლს წარმოადგენს აგრეთვე ის, რომ გზის მუშაკები, გატაცებულნი დატვირთვა-გადმოტვირთვის საერთო გეგმების შესრულებით, ივიწყებენ მთელ რიგ არსებით დეტალებს, რომელთაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ რთული სატრანსპორტო კონვეიერის შეწყობილ მუშაობაში.

ამხ. მალენკოვი XVIII პარტ-...

...ვერა დგას მოწოდების სიმაღლეზე. მრავალი ნაკლი ახასიათებს სამგზავრო დარგის მუშაობას და ამ მხრივ ახლავე უნდა იქნას მიღებული ზომები, რათა ზაფხულის პერიოდში მგზავრების გაზრდილ ნაკადებს, სავსებით მომზადებული შევახვედროთ ვაგზლები, მატარებლები, უზრუნველვყოთ სახალხო მატარებლების დაუგვიანებლად ტარება, შევუქმნათ საბჭოთა მოქალაქეებს მგზავრობის საუკეთესო პირობები.

რკინიგზის ტრანსპორტის დიდს მეურნეობაში საჭირო შეწყობილი მუშაობა ყველგან ჯერ კიდევ არ არის მიღწეული. ამაში გარკვეული ბრალი მიუძღვით აგრეთვე პოლიტგანყოფილებებსაც, რომელთაგან ბევრი და მათ შორის ამიერ-კავკასიის რკინიგზის პოლიტგანყოფილებაც, გატაცებულნი კანცელიარული მიწერ-მოწერით, მოწყვეტილი არიან ცხოვრებას, არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ.

ამიერ-კავკასიის რკინიგზის პოლიტგანყოფილებებმა უნდა შესცვალონ თავიანთი მუშაობის სტილი, ისინი პარტიის მებრძოლ ორგანოებად უნდა გადაიქცნენ. ამ მხრივ დიდი და სერიოზული მუშაობა ჰმართებთ ტერიტორიულ პარტიულ ორგანიზაციებს. „პარტიის საოლქო და საქალაქო კომიტეტები ვალდებულნი არიან მიაღწიონ პოლიტგანყოფილებათა მუშაობაში კანცელიარული მეთოდების ლიკვიდაციას და გადააქციონ ისინი პარტიის მებრძოლ ორგანოებად, რომლებსაც გული შესტკივათ ტრანსპორტის მუშაობისათვის და რომელნიც აქტიურად ეხმარებიან ტრანსპორტის აღმავლობის საქმეს“ (საქ. კ. პ. ...

...

...გილი აქვს ავარიებს, მარცხებს, წუნს, ხშირად ირღვევა მოძრაობის გრაფიკი, ირღვევა ტექნიკური ექსპლოატაციის წესები, სადგურებში, დეპოებში, სავაგონო უბნებში არ იცავენ მუშაობისა და მოძრაობის შემადგენლობის რემონტის ტექნოლოგიურ პროცესს, ლიანდაგებისა და კავშირგაბმულობის მოწყობილობის რემონტის ხარისხი დაბალია, ადგილი აქვს სადგურებში მატარებლების გაჩერების დაწესებულ ნორმაზე მეტხანს, ადგილი აქვს ვაგონების მოცდენას დატვირთვა-გადმოტვირთვის ოპერაციების წარმოების პროცესში, საწარმოებში უსუფთაობა და უწესრიგობაა, მარტო ის...

...დეა ბრკოლდება. ამიერ-კავკასიის რკინიგზაზე ნავთის პროდუქტების ზიდვა უპირატესი მდგომარეობით სარგებლობს, და უნდა სარგებლობდეს, მაგრამ ამან არ უნდა დაჩრდილოს სხვა ტვირთები. საქმე ისე უნდა იქნას აწყობილი, რომ ნავთის პროდუქტების პარალელურად დანარჩენი სახელმწიფოებრივი ტვირთებიც შეუფერხებლად იზიდებოდეს.

ამასთან საჭიროა ფართოდ დაინერგოს ლუნინური მუშაობის მეთოდი, რომელიც გადატანილ უნდა იქნას სარკინიგზო მეურნეობის ყველა დარგში.

ზაფხულის მოახლოებასთან დაკავშირებით დიდდება რკინიგზელების ამოცანები მგზავრთა მომსახურების დარგში. ეს მუშაობა კი ამიერ-კავკასიის რკინიგზაზე...

...ამ ამოცანათა განხორციელებისათვის მებრძოლ მოწინავეთა რიგებში უნდა იყვნენ. მუშაობაში არსებული ყველა ნაკლოვანების ბოლშევიკურად გამოსწორებით უნდა მიაღწიონ იმას, რომ ამიერ-კავკასიის რკინიგზა, რომელიც პარტიის სახელოვანი შვილის ამხ. ლ. პ. ბერიას სამაყო სახელს ატარებს, მოწინავე იყოს მუშაობის ყველა დარგში.

ამიერ-კავკასიის რკინიგზას ამის ყველა პირობა მოეპოვება. ეს პირობები მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ, უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ნავთის, ციტრუსების და მადნეულის ჩვენი სარკინიგზო მაგისტრალი ნამდვილად კარგი საათის მექანიზმივით, აწყობილად, რიტმიულად მუშაობდეს.

## ჰექტარზე 13.500 კილოგრამ ჩაის მივიღებ

შარშან სეზონში ჩემზე მომაგრებულ 1 ჰექტარ ჩაის ფართობზე 10.000 კილოგრამი მწვანე ფოთოლი მოვკრიფე. კერძოდ 29 ივნისს აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს სესიის მოწვევის პატივსაცემად მოვკრიფე 428 კილოგრამი ჩაი, მარტო ამ ერთ დღეს გამოვიმუშავე 53 შრომადღე, რაზედაც კოლმეურნეობიდან 775 მანეთი მერგო. იქნებ ვინმე იფიქროს, თითქოს მე განსაკუთრებულ პირობებს მიქმნიდნენ კოლმეურნეობაში, რომ მეტი მოვკრიფო. არა. მე და ჩემ მეზობლებს კრეფისა და მუშაობის პირობები ერთნაირი გვაქვს, მხოლოდ მე უკეთესად ვიყენებ დროს.

შარშან პირველად გამოვიყენე მოძრავი ფარდული, რომელიც თვლებზეა დადგმული. ამ ფარდულს, რომელიც ფანერით არის გადახურული, წვიმის დროს ვიყენებ და არ ვცდები. ვეხმარები სხვებსაც. ემინე გორჯელაძე, ფადიმე ბროლაძე, ხაჯერი კაკაბაძე და სხვები, რომლებსაც ჩემი გამოცდილება შეასწავლე, 5-6-ჯერ გადაჭარბებით ასრულებდნენ კრეფის ნორმებს.

მახარაძელთა მოწოდების საპასუხოდ ვკისრულობ ვალდებულებას ჩემზე მომაგრებულ 1 ჰექტარ ფართობზე გავადიდო მოსავლიანობა 13.500 კილოგრამამდე და ჩაის მთელი ეს რაოდენობა მოვკრიფო მარტოდ მე, აქედან არანაკლებ 12.000 კილოგრამისა პირველი ხარისხის იქნება. მოვამზადებ პირობებს იმისათვის, რომ დღიური სარეკორდო კრეფა ავიყვანო 500 კილოგრამამდე და მოვამზადო რაიონში 100 სტახანოველი მკრეფავი.

მოსავლიანობის გადიდების უზრუნველსაყოფად გადაწყვეტილი მაქვს სანიმუშოდ მოვუარო მომაგრებულ პლანტაციას, გაფორმების დროს მტკიცედ გავითვალისწინო თვითეული ბუჩქის მდგომარეობა, გავანოყიერო მინერალური სასუქების სრული დოზით, ...

...

**ხატიჯე კაკაბაძე**

ქობულეთის რაიონის სტუროს სახელობის კოლმეურნეობის სტახანოველი.

გორის რაიონის სოფ. ხელთუბნის კოლმეურნეობა „განთიადის“ თავმჯდომარის მოადგილე რ. ფაილაშვილი (მარცხნიდან მარჯვნივ), მტს-ის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი გ. ბიძიშვილი და მიწგანის გამგე დ. ლაზარაშვილი ამოწმებენ საგაზაფხულო ხვნის სიღრმეს.

ფოტო რ. აკოფოვისა

## სოცშეჯიბრებაში ვიწვევთ ლაითურის საბჭოთა მეურნეობას

ქობულეთის რაიონის ოჩხამურის სტალინის სახელობის ორდენოსანმა საბჭოთა მეურნეობამ 1940 წელს ჩაის კრეფის გეგმა 106,8 პროცენტით შეასრულა. მოკრეფილი და სახელმწიფოსათვის ჩაბარებული 195.850 კილოგრამი ფოთლიდან პირველი ხარისხისაა 70,5 პროცენტი. თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მივიღეთ 3,439 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. გადაჭარბებით შევასრულეთ ციტრუსების და ტუნგოს კრეფისა და სხვა სამუშაოთა გეგმებიც.

სოცშეჯიბრებისა და სტახანოვური მოძრაობის ფართოდ გაშლით 1940 წელს შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 14 პროცენტით, მუშათა წლიური საშუალო ...

...სახელმწიფოს ჩავაბაროთ 50.000 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი და 30.000 კილოგრამი ლაო-ჩაი, დავამზადოთ 100 ტონა კოფეინის მასალა.

მიმდინარე წელს 8,5 ჰექტარზე გავაშენებთ ევკალიპტს, 2 ჰექტარზე — დრაცენას, 3 ჰექტარზე მოვაწყობთ ჩაის სანერგეს, გასულ წელთან შედარებით გავადიდებთ შრომის ნაყოფიერებას 10 პროცენტით და მივაღწევთ იმას, რომ ჩაის კრეფისა და სხვა სამუშაოთა გეგმებს დაწესებულ ვადაზე და მაღალხარისხოვნად ასრულებდეს თვითეული ბრიგადა, თვითეული მუშა. 15 აპრილამდე დავამთავრებთ 2 საცხოვრებელი ბინის მშენებლობას 32 ოთახით, 15 მაისამდე ცეცხლაურის უბანზე ავა-...

...

## ერთნაირი ზომისა და წონის თესლის თესვის გამოცდილება

სათესლე მასალა, რომელსაც კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები დასათესად ამზადებენ, სხვადასხვა ზომისა და წონის თესლისაგან შესდგება. ასეთი თესლი იძლევა არათანაბარ ჯეჯილს, რომელიც არათანაბრად ვითარდება და მწიფდება.

სამეცნიერო ორგანიზაციების მიერ მოწყობილმა ცდებმა ცხადჰყვეს, რომ ერთნაირი ზომისა და წონის თესლი თანაბარ ჯეჯილს იძლევა, რომელიც თანაბრადვე ვითარდება და მწიფდება; ამის შედეგად მოსავლიანობა მატულობს დაახლოებით 20 პროცენტს.

ა. წ. გაზაფხულზე ახალქალაქის, ბოგდანოვკის, წალკისა და ბაშკიჩეთის რაიონში ეწყობა ერთნაირი ზომა-წონის თესლის თესვის ცდები. თვითეულ ამ რაიონში ამორჩეულია ორ-ორი კოლმეურნეობა, სადაც გამოჰყოფენ მზრალად მოხნულ მიწის ნაკვეთებს. თესლად გამოიყენებენ კოლმეურნეობაში ქონებულ სათესლე მასალას, რომელიც კონდიციის პირობებს აკმაყოფილებს.

პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ კარგი ხარისხით ჩატარდეს ერთნაირი ზომისა და წონის თესლის თესვა, ეკისრებათ რაიმიწგანთა მთავარ აგრონომებსა და თესლის საკონტროლო ლაბორატორიის გამგეებს. (საქინფ).

## ციტრუსების ნერგები ორგანიზაციათა და მოქალაქეთათვის

საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ადგილებიდან — მოსკოვიდან, კიევიდან, ხარკოვიდან, ლენინგრადიდან ...

...

...გასაგზავნი ნერგები და კალმები კარგად იქნება შეფუთული, მათ დაერთვის საკარანტინო სანერგის სერთიფიკატები და ციტრუსოვანთა მოვლის წესები. (საქინფ).

## დაიწყო შაქრის ჭარხლის თესვა

**გორი** („კომუნისტის“ კორ.). რაიონის კოლმეურნეობებში მასობრივად დაიწყო შაქრის ჭარხლის თესვა. მიმდინარე წელს რაიონში ჭარხალი უნდა დაითესოს 924 ჰექტარზე. პირველ აპრილს შაქრის ჭარხლის თესვას შეუდგნენ სოფ. ზემოსკრის, სვენეთისა და ხელთუბნის კოლმეურნეობები.

## საჭადრაკო მატჩ-ტურნირი

**ლენინგრადი**, 1 აპრილი (საქინფ). მეშვიდე ტურში ბოტვინიკმა, რომელიც შავებით თამაშობდა ლილიენტალს წინააღმდეგ, ესპანურ პარტიაში აირჩია ძველებური დაცვა, რასაც სატურნირო პრაქტიკაში იშვიათად იყენებენ. მან თანდათან გააძლიერა თავისი მდგომარეობა და საშუალო ეთერიში მიიტანა. მაგრამ გადამწყვეტ მომენტში ბოტვინიკმა ლილიენტალს მისცა პოზიციის სამგზის განმეორების შესაძლებლობა. სატურნირო წესისამებრ პარტია ყაიმით დამთავრებულად სცნეს.

ბონდარევსკი — ბოლესლავსკის შეხვედრა ერთობ მძაფრად მიმდინარეობდა. თეთრებმა დებიუტით აქტიური პოზიცია მიიღეს და დაიწყეს შავების მეფის ფლანგის პაიკთა იერიში. ბოლესლავსკიმ ...

...

## პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს XI პლენუმი

1 აპრილს პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს XI პლენუმზე გრძელდებოდა კამათი ამხ. შვერნიკის მოხსენების გარშემო. კავშირთა ცენტრალური კომიტეტების ხელმძღვანელნი, საფაბრიკო და საქარხნო კომიტეტების მუშაკნი აშკარავებენ პროფკავშირულ ორგანიზაციათა მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს, ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას.

გემთმშენებლობის მრეწველობის მუშათა კავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ — ამხ. **გაისენკომ** აღნიშნა, რომ გემთმშენებლობის სახალხო კომისარიატის საწარმოებში შრომის სანარ-...

...თვით ამხ. შიჩგოლევა 115-122 პროცენტით ასრულებს ნორმას.

ის ნაკლოვანებანი პროფკავშირულ ორგანიზაციათა მუშაობაში, რომლებზედაც ამხ. შვერნიკი მიგვითითებდა თავის მოხსენებაში, ჩვენცა გვაქვს, — ამბობს ცენტრისა და სამხრეთის ხე-ტყის სახერხი და ხის გადამმუშავებელი მრეწველობის მუშათა კავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. **ბაზაევი**.—ჩვენი ძირეული ორგანოები და კავშირის ცენტრალური კომიტეტიც ბიუროკრატიულად ხელმძღვანელობდნენ სოციალისტურ შეჯიბრებას. მაგალითად, კოსტერევის ფაბრიკაში ხელშეკრულებათა დადების დროს პროფკავშირული ორგანიზა-...

...რესად პროფკავშირთა როლს 1941 წლის ნავიგაციის მომზადებაში და ხომალდებზე სამეურნეო ანგარიშის დანერგვის საკითხებს.

კუზნეცკის სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. **ჩერნიშევი** შეეხო მეთაურთა საშუალო შემადგენლობის ტექნიკურ სწავლას. ერთერთმა საქარხნო თათბირმა განიხილა ბრძმედის საამქროს მუშაობა. გამოირკვა, რომ ყოველი ოსტატი თავისებურად ახორციელებს საწარმოო პროცესს, არ იცავს დადგენილ წესებს. საამქროს 16 ოსტატთაგან მხოლოდ ერთი ილებს თავის ტექნიკურ ცოდნას. მხოლოდ ამ თათბირის შემდეგ მიხვდა საქარხნო კომიტეტი, რომ ...

...

## რუსეთის სფსრ 1-ლი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესია

1 აპრილს, საღამოს 6 საათზე, კრემლში გაიხსნა რუსეთის სფსრ 1-ლი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესია. სესიას ესწრება მრავალი სტუმარი — მეცნიერებისა და ხელოვნების მუშაკები, ...

...სახელმწიფო ბიუჯეტი — შემოსავლის ნაწილში 24.988 მილიონი მანეთის რაოდენობით და გასავლის ნაწილში — 24.978 მილიონი მანეთის რაოდენობით. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ რუსეთის ... 1941 წლის სახელმწიფო ...

...

## ბრძანებულება

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### ამხ. ე. ზ. ბარსუკოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

წითელი არმიის არტილერიის განვითარებისა და გაუმჯობესების საქმეში თვალსაჩინო დამსახურებისათვის **ლენინის ორდენით** და-...

...

## ქრონიკა

...

## საქ. რადიოსაის მე-2 პროგრამა

...

## ბოლშევიკურად განვახორციელოთ XVIII პარტკონფერენციის გადაწყვეტილებანი

# საქართველოს ნავთის მრეწველობის მუშაკთა წარმატება

(საუბარი ტრესტ „საქნავთის" მმართველ ამხ. ა. მგელაძესთან)

საქართველოს ნავთის მრეწველობის მუშაკებმა XVIII პარტკონფერენციის გადაწყვეტილებათა განუხრელად გატარების საფუძველზე მიმდინარე წლის პირველ კვარტალში შესამჩნევი მიღწევები მოიპოვეს.

აღსანიშნავია მარტის თვე, როდესაც პირველად, „საქნავთის" არსებობის მთელ მანძილზე, ნავთის საშუალო სადღეღამისო ამოღებამ განვითარების უმაღლეს დონეს მიაღწია.

მთელ რიგ ორგანიზაციულ ღონისძიებათა გარდა წარმატებების მიღწევას დიდად შეუწყო ხელი აგრეთვე ახალ ტექნიკურ ღონისძიებათა გატარებამ, როგორაც არის ჭაბურღილების ქიმიურად დამუშავება, რაც საშუალებას იძლევა გადიდებულ იქნას ნავთის ამოღება. (მაგალითად, მირზაანში № 103 ჭაბურღილზე ქიმიური დამუშავების შემდეგ ნავთის ამოღება სამჯერ გაიზარდა), პუნქციური ლიფტის ათვისება, რაც აგრეთვე ადიდებს მომქმედ ჭაბურღილზე ნავთის ამოღებას.

შესამჩნევად გააუმჯობესა მუშაობა მიმდინარე წელს ტრესტის გეოლოგიურმა სამსახურმაც, რამაც საშუალება მოგვცა მიგვეღო უფრო მაღალდებიტიანი ჭაბურღილები (№ 125 და 134 ჭაბურღილი მირზაანში, № 43 და 63 შირაქში, № 5 და 13 ნორიოში).

ბურღვის დარგში მირზაანის ბურღვის კანტორამ (უფროსი ამხ. საპოჟნიკოვი) კვარტალის გეგმა 115,2 პროცენტით შეასრულა; შირაქის ნავთსაძიებო უბანმა (უფროსი ამხ. შალხოშვილი) კი — 236,9 პროცენტით.

ბურღვის დარგში მოპოვებული მიღწევები იმის შედეგია, რომ მბურღავმა ბრიგადებმა მკვეთრად აწიეს ბურღვის სიჩქარე მარტის უკანასკნელ დღეებში ცალკეული ჭაბურღილები ბურღვის სადღეღამისო დავალებას ასრულებდნენ 5-ჯერ და უფრო მეტადაც.

შეუდგნენ რა მეორე კვარტალს, საქართველოს ნავთის მუშაკები, არასაწარმოო გაცდენების მინიმუმამდე აღმოფხვრით, მიაღწევენ უფრო მეტ სიჩქარეს ბურღვაში და დავალებას დაზგა-თვეზე 1000 მეტრის მოცემის შესახებ სასახელოდ შეასრულებენ.

მაგრამ არ შეიძლება არ ითქვას ცალკეულ ჩამორჩენებზეც, რომელთაც კიდევ აქვს ადგილი. სავსებით არადამაკმაყოფილებლად დაამთავრეს კვარტალი სუფსისა და ნორიოს ნავთსაძიებელმა უბნებმა. სუფსის ნავთსაძიებო სარეწაომ ნავთის ამოღების გეგმა ვერ შეასრულა. ეს იმიტომ მოხდა, რომ იქ ადგილი აქვს დიდ უნაყოფო გაცდენებს და ავარიებს.

ამ უბნების ხელმძღვანელთა ამოცანას შეადგენს შეუხელებელი ბრძოლა მუშაობაში არსებულ ნაკლთა აღმოსაფხვრელად.

შემდეგ აღსანიშნავია ბურღვის თვითღირებულების შემცირების საკითხი. ბურღვის კანტორას ამ მხრივ მოეპოვება მიღწევები, მაგრამ ზოგიერთი ჭაბურღილის უფროსი თვითღირებულების საკითხს ყურადღებას არ აქცევს.

ამ მხრივ ახლა ტრესტი ატარებს მთელ რიგ ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველჰყოფენ ბურღვის, ნავთის ამოღებისა და მისი გადამუშავების ღირებულების შემცირებას. ტრესტის საწარმოებს აკრძალული აქვთ ბალანსების წარმოდგენა, თუ ისინი წინასწარ განხილული არ იქნებიან საწარმოო-სამეურნეო აქტივების მიერ; ტარდება აგრეთვე სხვა ღონისძიებებიც, როგორიც არის მაგალითად, რამდენიმე ჭაბურღილის გაერთიანება ერთი ჯგუფური გადამცემით მირზაანსა და პატარა შირაქში, პუნქციური ლიფტის გამოყენება, შიდაწვის ძრავების ბუნებრივ გაზზე გადაყვანა, რომელთაც ვიღებთ იმავე ჭაბურღილებიდან, რომელთაც ისინი ემსახურებიან, რაც მოგვცემს მუშახელის, მასალების, მოწყობილობის, დეფიციტური საწვავის ეკონომიას.

ამგვარად, საქართველოს ნავთის მრეწველობამ 1941 წელი ცუდად როდი დაიწყო. საქართველოს ნავთის მრეწველობის კოლექტივმა XVIII პარტკონფერენციის გადაწყვეტილებათა რეალიზაციის საფუძველზე მტკიცედ გაშალა მუშაობა პარტიისა და მთავრობის დავალებათა განსახორციელებლად და, როგორც ვხედავთ, კიდეც მიაღწია შედეგს, მაგრამ იგი ოდნავადაც არ გვამშვიდებს და გვაკმაყოფილებს, არამედ უფრო მეტად გვრაზმავს უკეთესი მიღწევების მოსაპოვებლად, წლიური გეგმის ვადამდე და გადაჭარბებით შესასრულებლად.

# გრაფიკით მუშაობისათვის, დავალებათა შესრულებისათვის

ტყვარჩელის ლ. პ. ბერიას სახელობის თბოელექტროსადგურმა 1940 წლის გეგმა 106 პროცენტით შეასრულა. მარშან III კვარტალში სადგურმა კარგი მაჩვენებლებისათვის საბჭოთა კავშირის ელექტროსადგურთა შორის პირველობა მოიპოვა, თვითღირებულება შეამცირა 7,8 პროცენტით. მაგრამ სადგურმა 1941 წელი ცუდად დაიწყო, იანვრისა და თებერვლის გეგმა ვერ შეასრულა.

რამ შეუშალა ხელი გეგმის შესრულებას?

თბოელექტროსადგური ჩართულია საქართველოს ჰიდროელსადგურთა ქსელში, წყლის დიდმა რაოდენობამ ჰიდროსადგურებში მინიმალურად შეამცირა თბოსადგურის ტვირთის აღება. 1941 წ. იანვარში გადახარჯულ იქნა 250 ტონა სათბობი და 2.500 კილოვატი ელექტროენერგია.

ტყვარჩელის თბოელექტროსადგურის ხელმძღვანელობამ მიიღო სათანადო ღონისძიებანი. მარტში მდგომარეობა გაუმჯობესდა. სადგურის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით ჩატარდა ტექნიკური კონფერენცია. კონფერენციაზე მოხსენება გააკეთა მთავარმა ინჟ. ა. რეკვავამ. მიღებულ იქნა მთელი რიგი ღონისძიებანი სათბობისა და ელექტროენერგიის დაზოგვისათვის.

22 მარტს შესრულდა თვიური გეგმა, დაზოგილ იქნა 340 ტონა სათბობი. 1940 წელს 1 კილოვატსაათ ელექტროენერგიის მისაღებად მოცემული იყო 660 გრამი სათბობი, 1941 წელს — 620 გრამი. მარტში 1 კილოვატსაათის მისაღებად 558 გრამი სათბობია დახარჯული.

XVIII კონფერენციამ მოითხოვა მუშაობა ზუსტი გრაფიკით, გეგმის შესრულება ყოველდღიურად. გრაფიკით მუშაობის ზუსტად გატარება დამოკიდებულია მატერიალური და ტექნიკური მოწყობილობის გეგმიან მომარაგებაზე. აპრილიდან ვიწყებთ პირველი საქვაბე დანადგარის კაპიტალურ რემონტს, მაგრამ მასალები, რომელიც საჭიროა კაპიტალური რემონტის ჩასატარებლად, ჯერჯერობით არა გვაქვს.

ტყვარჩელის თბოელექტროსადგურის პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები პირნათლად შეასრულებენ 1941 წ. გეგმას, ჩადგებიან სსრკ მოწინავე ელსადგურთა რიგებში და საამაყოდ ატარებენ საქართველოს სასიქადულო შვილის, დიდი სტალინის ერთგული მოწაფის ამხ. ლ. პ. ბერიას სახელს.

**ინჟ. მ. რატიანი**

ტყვარჩელის ლ. პ. ბერიას სახელობის თბოელექტროსადგურის საქვაბე საამქროს უფროსი.

## შორაპანში არღვევენ ტექნოლოგიურ პროცესს

მარგანეცის გადმოზიდვა სადგურ შორაპნიდან ფოთის ნავსადგურში მეტწილად მექანიზებული ვაგონებით ხდება.

მადანი შორაპანში უნდა ჩაიტვირთოს ვაგონებზე დადგმულ კვიბელებში, რომელთაც ფოთის ნავსადგურში მოსვლისას ელექტროამწეთი აიღებენ ვაგონებიდან და გადატვირთავენ გემებში ან საწყობში. ამგვარი მექანიზაცია საგრძნობლად ამცირებს ვაგონების გადმოტვირთვის დროს.

თუ მადანი ვაგონებზე დაყრილი მოდის, მაშინ საჭირო ხდება მათი ხელით დაცლა და ერთი ვაგონის გადმოტვირთვას ერთი საათი სჭირდება, კვიბელიანი ვაგონები კი 4-5 წუთში იცლება. ამიერ-კავკასიის ლ. პ. ბერიას სახელობის რკინიგზისა და ნავსადგურის სამმართველოს შორის არსებობს ხელშეკრულება, რომლის ძალით მარგანეცით დატვირთული შემადგენლობა (შემადგენლობაში 65 ვაგონია) ფოთის ნავსადგურში უნდა დაიცალოს ერთ საათსა და 30 წუთში.

ნავსადგურს ყველა საშუალება მოეპოვება, რომ ეს პირობა დაიცვას, შემადგენლობა ხელშეკრულებით დაწესებულ ვადაში განტვირთოს, მაგრამ სადგური შორაპანი ხელს არ გვიწყობს ამ საქმეში.

ნავსადგურმა შესძლო ერთი შემადგენლობა (60 ვაგონი) უზრუნველეყო გადიდებული მოცულობის კვიბელებით. 28 მარტს, 3 საათზე, აღნიშნული შემადგენლობა გაიგზავნა ნავსადგურიდან შორაპანში და გაფრთხილება მიეცა სამტრედიის საექსპლოატაციო განყოფილებას და სადგურ შორაპანს, რათა არ მოეხდინათ შემადგენლობის დაშლა, კვიბელიანი ვაგონების მაგიერ არ ჩაერთოთ მასში დაყრილი მარგანეცით დატვირთული ვაგონები.

მიუხედავად ამისა, 29 მარტს 20 საათზე აღნიშნული შემადგენლობა ფოთის ნავსადგურში სრულიად სახეშეცვლილი იქნა მიღებული. იქ მხოლოდ 18 კვიბელიანი ვაგონი იყო, დანარჩენ 42 ვაგონზე კი ისე იყო დაყრილი მარგანეცი.

ასეთი შემთხვევები იშვიათი არ არის. სადგური შორაპანი ანგარიშს არ უწევს ფოთის ნავსადგურს, რათა მან შესძლოს მექანიზაციის მაქსიმალური გამოყენების გზით დააჩქაროს ვაგონების ბრუნვა, ხოლო რკინიგზა, მიუხედავად არაერთი მიმართვისა, რატომღაც სდუმს. ეს გარემოება კი იწვევს ფოთის ნავსადგურში ვაგონების მოცდენას და აფერხებს ჭიათურიდან გეგმით გათვალისწინებული რაოდენობით მარგანეცის გადმოზიდვას.

სადგურმა შორაპანმა და რკინიგზის სამტრედიის საექსპლოატაციო განყოფილებამ დროა ბოლო მოუღონ ნავსადგურის მუშაობისათვის ანგარიშის გაუწევლობას. საჭიროა სპეციალიზებული შემადგენლობები არ იშლებოდეს. ამით ერთიორად გადიდდება ვაგონების ბრუნვა და სავსებით აღმოიფხვრება ვაგონებისა და მექანიზაციის უნაყოფო მოცდენა ნავსადგურებში.

**ა. ქოიავა**

ფოთის ნავსადგურის ცვლის მორიგე დისპეტჩერი.

## 200.900 კილომეტრის გარბენა ელექტრომავლის ურემონტოდ და 25 ათასი მანეთი ეკონომია

წლინახევრის წინათ ამიერკავკასიის ლ. პ. ბერიას სახელობის რკინიგზის თბილისის საელექტრომავლო დეპოს ბრიგადამ უფროსი მემანქანის — ამხ. ლუგოვოის, მემანქანის ამხ. მსხილაძისა და მემანქანის თანაშემწეების — ამხ. ქიმერიძისა და გამყრელიძის შემადგენლობით ჩაიბარა ახალი ელექტრომავალი და ვალდებულება იკისრა 150.000 კილომეტრი გაერბინა ისე, რომ ელექტრომავალს არ დასჭირებოდა სარემონტოდ დაყენება.

ბრიგადამ სასახელოდ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება. 1 აპრილისათვის ელექტრომავალმა 200.900 კილომეტრი გაირბინა. გარბენის განმავლობაში ელექტრომავლის ბრიგადამ 25.000 მანეთი დაზოგა. მთელს მიმდინარე რემონტს იგი საკუთარი ძალებით ასრულებდა. ბანდაჟები კარგ მდგომარეობაშია, რაც საშუალებას იძლევა გაგრძელდეს გარბენა.

ბრიგადამ ვალად იდო რკინიგზელის დღისათვის ურემონტოდ [illegible] კილომეტრი [illegible]

[illegible]

# კვარტალური გეგმების შესრულება

## ვადაზე ადრე, გადაჭარბებით

**ჭიათურა.** საქ. კ. პ. (ბ) XVIII კონფერენციის გადაწყვეტილებათა განხორციელებით ჭიათურის მარგანტრესტის ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს პირველმა უბანმა, რომელსაც ამხ. ვ. სიკინჭალაშვილი ხელმძღვანელობს, მარგანეცის გამოღების პირველი კვარტალის გეგმა 26 მარტისათვის 120,5 პროცენტით შეასრულა. ამავე რიცხვისათვის № 18 ქარხანამ (გამგე — კ. გაფრინდაშვილი) მარგანეცის გარეცხვის პირველი კვარტალის გეგმა 103,7 პროცენტით შეასრულა.

მაღაროს წარჩინებულმა სტახანოველმა ამხ. ნ. ჭილლაძემ, რომელიც დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, პირველი კვარტალის გეგმა 26 მარტისათვის 214,7 პროცენტით შეასრულა, ამწმენდმა აბელ გაფრინდაშვილმა — 172,7 პროცენტით და სხვ.

პირველი კვარტალის გეგმა ვადაზე ადრე შეასრულეს აგრეთვე დიმიტროვის სახელობის მაღაროს პირველმა და მეორე უბნებმა. პირველმა უბანმა (გამგე — დ. სახვაძე) მარგანეცის გამოღების კვარტალური გეგმა 24 მარტს 101,4 პროცენტით შეასრულა, მეორე უბანმა (გამგე — დ. ფალავანდიშვილი) — 103 პროცენტით.

პირველი და მეორე უბნის სტახანოველები: ლენინის ორდენოსანი კ. ღავთაძე, შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებული დ. დარბაიძე, ამწმენდი სტახანოველი ილ. იაკობიძე და სხვები ყოველდღიურ გეგმას 200-250 პროცენტით ასრულებენ.

**ტ. ნასარიძე**

## სოცშეჯიბრების შედეგად

**ჭიათურა, 2 აპრილი (საქდესი).** ჭიათურის მარგანეცის ტრესტის ვოროშილოვის სახელობის მაღარომ, რომელიც სოციალისტურ შეჯიბრებაშია ჩაბმული ნიკოპოლის მაქსიმოვის სახელობის მაღაროსთან, მარგანეცის ამოღების პირველი კვარტალის გეგმა შეასრულა 100 პროცენტით, ხოლო სასაქონლო პროდუქციის დამზადებისა — 101 პროცენტით.

## ერთი დღით ადრე

**ტყიბული, 2 აპრილი (საქდესი).** ტყიბულის ქვანახშირის ტრესტმა მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმა 30 მარტს, ღამის ცვლაში შეასრულა.

დიდი წარმატებით იბრძვიან ქვანახშირის ამოღების გადიდებისათვის ლენინის სახელობისა და სტალინის სახელობის მაღაროები. 31 მარტს ლენინის სახელობის მაღარომ დღიური დავალება 148 პროცენტით შეასრულა, სტალინისამ — 144 პროც.

წარმატებით გრძელდება ტონა ქვანახშირის თვითღირებულების შემცირებისათვის ბრძოლა. იანვარში ლენინის სახელობის მაღარომ ტონა ქვანახშირი 2 მან. და 19 კაპიკით გააიაფა, თებერვალში — 2 მან. და 78 კაპიკით. სტალინის სახელობის მაღარომ ტონა ქვანახშირი იანვარში 4 მან. და 9 კაპიკით გააიაფა, თებერვალში — 5 მან. და 16 კაპ.

ორივე მაღარომ დიდად გააუმჯობესა ამოღებული ქვანახშირის ხარისხი. ლენინის სახელობის მაღარომ ნახშირის ხარისხი თებერვალში 19 პროცენტით გააუმჯობესა, სტალინისამ — 6.84 პროცენტით.

ცუდად მუშაობს გელათის მაღარო. პირველი კვარტალის გეგმა მან ვერ შეასრულა. ტონა ქვანახშირის თვითღირებულება იანვარში 30 მან. და 58 კაპ. გაძვირდა, თებერვალში—27 მან. და 96 კაპ. მაღაროს ხელმძღვანელობას ჯერ კიდევ საჭირო დასკვნა არ გამოუტანია საქ. კ. პ. (ბ) XVIII კონფერენციის გადაწყვეტილებებიდან. აქ ადგილი აქვს მოსამზადებელი სამუშაოებისადმი გულგრილ დამოკიდებულებას, მექანიზმების ცუდი მოვლის ფაქტებს.

## დავალება განაღდებულია

თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში წარმატებით გრძელდება საკ. კ. პ. (ბ) XVIII სრულიად-საკავშირო კონფერენციის სახელობის სოციალისტური შეჯიბრება. ამის შედეგად ქარხანამ მიმდინარე წლის პირველი კვარტალის დავალება 29 მარტისათვის 100,5 პროც. შეასრულა. გეგმით გათვალისწინებული 1.500 ათასი მანეთის ნაცვლად გამოშვებულია 1.507,5 ათასი მანეთის პროდუქცია.

## 101 პროცენტით

**საქართველოს ყველკარაქმრეწველობის ტრესტმა (დირექტორი ამხ. ალ. ნანეიშვილი) 1941 წლის** პირველი კვარტალის გეგმა ვადამდე, 20 მარტისათვის შეასრულა 101 პროცენტით.

## საქონელბრუნვის გეგმის შესრულება

**საქართველოს კურორტვაჭრობამ** (დირექტორი ამხ. ა. ლალიაშვილი) საქონელბრუნვის კვარტალური გეგმა 9.700.000 მანეთის რაოდენობით შეასრულა 19 მარტისათვის, ხოლო საზოგადოებრივი კვებისა — 1.600.000 მანეთის რაოდენობით 5 მარტისათვის. კოლექტივს XVIII პარტკონფერენციის სახელობის სოცშეჯიბრებით ნაკისრი ჰქონდა ვალდებულება საქონელბრუნვის კვარტალური გეგმა შეესრულებინა 25 მარტისათვის, ხოლო საზკვებისა — 20 მარტისათვის.

# დავამყაროთ სისუფთავე და წესრიგი სამშენებლო მოედნებზე

საქ. კ. პ. (ბ) XVIII კონფერენციის [illegible] ფუძველ[illegible] ნებლობ[illegible] გარდატე[illegible] რიგის დაცვის მხრივ. მაგრამ ჯერ კიდევ არიან საწარმოები და მშენებლობები, რომელთა ხელმძღვანელებს ამ მხრივ პრაქტიკული ნაბიჯები არ გადაუდგამთ. მშენებლობების ზოგიერთმა მუშაკებმა XVIII პარტკონფერენციის გადაწყვეტილება თავისებურად გაიგეს. თითქოს კონფერენციის მითითებანი შეეხებოდეს მხოლოდ სამრეწველო და სატრანსპორტო ორგანიზაციებს და არა სამშენებლო ორგანიზაციებს. ასე დაემართა, კერძოდ, თბილისის საბჭოს აღმასკომის საბინაო მშენებლობის სამუშაოთა მწარმოებელს ამხ. ნოსიკოვს.

მშენებლობებზეც აქვს ადგილი უსუფთაობას, დანაგვიანებას, ნაგავშია ჩაფლული, იყანგება და ფუჭდება გამოსადეგი სამშენებლო მასალების ნარჩენები, ხშირად მათ ნაგავს აყოლებენ.

მაგალითად, კურორტ მენჯის (ცხაკაიას რაიონი) სააბაზანო შენობის მშენებლობა, რომელიც ძირითადად დამთავრებულია, ანტისანიტარულ მდგომარეობაშია, სააბაზანო და საქვაბე შენობის შუა ნაგავი ჰყრია, რკინის ნაჭრები, დახერხილი და დაუხერხავი ხის მასალის ნაჭრები მიმოფანტულია მშენებლობის ტერიტორიაზე, ეზო დაჭაობებულია და სხვ. მშენებლობის კანტორაში [illegible] ქუჩა № 46-ა), სადაც მშენებლობას აწარმოებს „თბილმშენი", მიმოფანტულია ხე-ტყის მასალა, ფასონური რკინა, არმატურის რკინა. არმატურის რკინაზე დაყრილია დახერხილი მასალა და ამით ფუჭდება როგორც ხე-ტყის მასალა ისე რკინა. მასალის დაუხარისხებლობისა და დაულაგებლობის გამო ერთ ფიცრის ამოსარჩევად მისულმა ხელოსანმა მთელი ფიცრები უნდა გადაალაგოს და სამუშაო დრო დაჰკარგოს. სამუშაოთა მწარმოებელი უსუფთაობაზე ასეთ განმარტებას იძლევა: ტრანსპორტი არა გვაქვს, ნაგვის გატანის და მასალის დახარისხება-დალაგებისათვის მუშა-ხელი არა გვყავს, ეს ხარჯთაღრიცხვაში გათვალისწინებული არა გვაქვსო.

რკინიგზის ინჟინერ-ტექნიკოსთა საერთო საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ტერიტორიაზე ნაგავი ჰყრია, დაფანტულია არმატურის რკინის ნაჭრები, არმატურის რკინის ნარჩენი გადაყრილია ნაგავთან ერთად. შენობის დამთავრებულ ბინებში მცხოვრებნი ნაგავზე ნაგავს უმატებენ და ამით ისედაც უსუფთაო ტერიტორიას კიდევ უფრო აბინძურებენ.

ანალოგიური ფაქტების მოყვანა შეიძლება დანარჩენი მშენებლობებიდან, მაგრამ ესეც საკმარისია [illegible] ბისა, აღრიცხვისა და გამოყენებისათვის.

უნდა გვახსოვდეს, რომ XVIII პარტკონფერენციის გადაწყვეტილებანი სახალხო მეურნეობის ყველა დარგს შეეხება.

აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ საწარმოში და მშენებლობაზე ძალიან დიდი რაოდენობით იკარგება გამოსადეგი მასალები. ზოგიერთ სამუშაოთა უფროსის განმარტებით, ნარჩენი სამშენებლო მასალები დიდ ღირებულებას არ წარმოადგენს სახელმწიფოსათვის.

სამშენებლო ორგანიზაციების ხელმძღვანელ მუშაკთა საპატიო ამოცანაა დარაზმონ მასები XVIII პარტკონფერენციის გადაწყვეტილებათა განუხრელად განხორციელებისათვის. ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ სამშენებლო მოედნები სანიმუშონი იყვნენ სისუფთავისა და წესრიგის მხრივ. თვალისჩინივით გავუფრთხილდეთ სამშენებლო მასალებს, არ დავკარგოთ არცერთი ცალი ლურსმანი, არცერთი ღერი ფიცარი, არცერთი კილოგრამი ცემენტი.

**ნ. შეროზია**

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სამრეწველო განყოფილების ინსტრუქტორი.

## საგაფიცვო მოძრაობასთან ბრძოლის ღონისძიებათა მომზადება ა. შ. შტატებში

**ნიუ-იორკი, 1 აპრილი (საკდესი).** იუნაიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, წარმომადგენელთა პალატის წევრმა რესპუბლიკელმა ფორდმა (კალიფორნიის შტატიდან) კონგრესში შეიტანა კანონპროექტი, რომელიც 25 წლის პატიმრობას ითვალისწინებს იმ პირთათვის, ვინც მონაწილეობას მიიღებს გაფიცვაში ან ხელს შეუწყობს გაფიცვის მოწყობას ქარხნებში, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ არიან დაკავშირებულნი იარაღის წარმოებასთან. კანონპროექტი ითვალისწინებს აგრეთვე სიკვდილით დასჯას იმ შემთხვევაში, თუ გაფიცვა პირდაპირ ან არაპირდაპირ რაიმე მკვლელობის მიზეზი გახდება. კონგრესში შეიტანეს რამდენიმე სხვა კანონპროექტიც, რომლებიც ითვალისწინებენ სასტიკი ზომების მიღებას გაფიცვების წინააღმდეგ.

წარსულ კვირაში წარმომადგენელთა პალატის იურიდიული კომისიის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ, თუ საჭირო იქნება, კომისია მზად არის მოიწონოს სიკვდილით დასჯის კანონი ყველა იმ მოქმედების გამო, რომლებიც ხელს უშლიან თავდაცვის პროგრამის განხორციელებას.

ზოგიერთი შტატის საკანონმდებლო ორგანოებიც იხილავენ სხვადასხვა წინადადებას გაფიცვების წინააღმდეგ გადამწყვეტი ზომების მიღების შესახებ. სკრიპს-ჰოვარდის პრესის ცნობით, ოკლაჰომის შტატის სენატმა მოიწონა კანონპროექტი, რომლითაც აკრძალულია მუშათა ორგანიზაციები სამხედრო მრეწველობაში. ტეხასის შტატის წარმომადგენელთა პალატამ მოიწონა ანალოგიური კანონპროექტი.

მიუხედავად პროფკავშირთა საწინააღმდეგო კამპანიისა, რომელსაც ამჟამად ამერიკის შეერთებულ შტატებში ეწევიან, ბევრი გაფიცვა გრძელდება. საწარმოო პროფკავშირთა კონგრესში შემავალმა სამთამადნო მუშათა პროფკავშირმა განაცხადა, რომ იგი მოაწყობს გაფიცვას, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს ქვანახშირის მრეწველობის 330 ათასი მუშა, თუ მეწარმენი არ დათანხმდნენ პროფკავშირის მოთხოვნას ხელფასის მომატების შესახებ.

გაფიცვა დამთავრდა ილინოისისა და ინდიანის შტატების „ინტერნეიშენელ ჰარვესტერ კომპანის" ოთხ ქარხანაში იმის შემდეგ, რაც მეწარმენი დასთანხმდნენ მოლაპარაკება გაემართათ პროფკავშირის წარმომადგენლებთან. მუშაობას შეუდგა აგრეთვე ჯონსტაუნის (პენსილვანიის შტატი) ფოლადსამსხმელო ქარხანა „ბეტლიჰემ სტილ კორპორეიშენის" 11 ათასი მუშა იმის შემდეგ, რაც კომპანიამ ზოგი რამ დასთმო და ამასთანავე მუშებს აღუთქვა, რომ პროფკავშირთა წევრებს არ სდევნის.

მილვოკის „ალის ჩალმერსის" კომპანიის ქარხანაში პოლიციამ გაფანტა მუშათა პიკეტები 3 ათასი კაცის შემადგენლობით, რის დროსაც ცრემლმდენი გაზიანი ყუმბარები გამოიყენა. ეს გაფიცვა უკვე 68 დღეა, რაც გრძელდება.

## იუნაიტედ პრესი იუგოსლავია-რუმინეთის საზღვრის დახურვის შესახებ

**ნიუ-იორკი, 1 აპრილი (საკდესი).** იუნაიტედ პრესის სააგენტოს ბელგრადელი კორესპონდენტის ცნობით, იუგოსლავიამ დახურა რუმინეთის საზღვარი.

## იუგოსლავიის დეპეშათა სააგენტო უარყოფს

**ბელგრადი, 1 აპრილი (საკდესი).** ავალას სააგენტო იუწყება: „ჩვენ დავალებული გვაქვს კატეგორიულად უარვყოთ უცხოეთის ზოგიერთი გაზეთის ცნობა იუგოსლავიაში გერმანელებისადმი ეგრეთწოდებული ცუდი მოპყრობისა და მათი სიცოცხლისა და ქონების ხელყოფის შესახებ. ასევე არ შეესაბამება სინამდვილეს უცხოეთის პრესის ცნობა იმის შესახებ, რომ იუგოსლავიაში გაიმართა მანიფესტაციები გერმანელთა წინააღმდეგ და რომ მანიფესტანტთა კოლონებს მიჰქონდათ ინგლისისა და პოლონეთის დროშები და მღეროდნენ სიმღერებს, რომლებითაც მუქარას გამოხატავდნენ გერმანელების მიმართ.

ჩვენ კატეგორიულად უარვყოფთ აგრეთვე უცხოეთის გაზეთების ცნობას იმის შესახებ, რომ გერმანელი უმცირესობის წევრთა განსაზღვრული რაოდენობა ამ დღენის გამო გადავიდა რუმინეთის საზღვარზე. გერმანელი უმცირესობის წევრები იუგოსლავიაში ყველა მოქალაქეობრივი უფლებით სარგებლობენ და სრულიად უშიშრად არიან ისე, როგორც იუგოსლავიის ყველა სხვა მცხოვრებნი".

## იტალიის ქვეშევრდომთა წასვლა იუგოსლავიიდან

**რომი, 1 აპრილი (საკდესი).** სტეფანის სააგენტო ტრიესტიდან გადმოგვცემს, რომ 1 აპრილს, დილით, იქ ჩავიდა იუგოსლავიიდან წამოსული მრავალი იტალიელი. მათ შორის ბევრია ქალი და ბავშვი. 15 საათზე ტრიესტში ჩავიდა მატარებელი, რომელმაც ჩაიყვანა იუგოსლავიაში მცხოვრებ იტალიელ დიპლომატთა, ჟურნალისტთა და მასწავლებელთა ოჯახის წევრები. ბელგრადში დარჩნენ მხოლოდ იტალიის დესპანი და იტალიის მისიის წევრები.

## ბუქარესტის ჟურნალისტური წრეები იუგოსლავიაში ნავთის ექსპორტის აკრძალვის შესახებ

**ბუქარესტი, 1 აპრილი (საკდესი).** ჟურნალისტთა წრეებში გადმოგვცემენ, რომ რუმინეთის მთავრობამ 31 მარტიდან აკრძალა ნავთისა და სხვა ნავთპროდუქტების ექსპორტი იუგოსლავიაში.

## მაცუოკას შეხვედრა ჩიანოსთან

**რომი, 1 აპრილი (საკდესი).** სტეფანის სააგენტო იუწყება, რომ 1 აპრილს, 17 საათზე, მაცუოკა მივიდა კიჯის სასახლეში (საგარეო საქმეთა სამინისტრო), სადაც იგი მიიღო ჩიანომ. შემდეგ მაცუოკა ჩიანოსთან ერთად წავიდა ვენეციის პალაცოში (ვენეციის სასახლე) მუსოლინისთან შესახვედრად.

## მაცუოკას საუბარი მუსოლინისთან

**რომი, 1 აპრილი (საკდესი).** როგორც სტეფანის სააგენტო იუწყება, დღეს, საღამოს, მოხდა მაცუოკას შეხვედრა მუსოლინისთან. მათ ისაუბრეს ჩიანოსა და იაპონიის რომაელი ელჩის ჰორიკირის თანადასწრებით. საუბარმა დაახლოებით ერთ საათს გასტანა.

# უკანასკნელი ცნობები

## ინგლის-გერმანიის ომი

**ბერლინი, 2 აპრილი (საკდესი).** უმაღლესი სარდლობა იუწყება:

ატლანტის ოკეანის ჩრდილოეთ ნაწილში მოქმედმა გერმანიის ერთმა წყალქვეშა ნავმა ჩაძირა 35.300 ტონა საერთო წყალწყვის 5 გემი, რომელიც მტრის გემების ქარავნების შემადგენლობაში იყო.

გერმანიის ერთერთი ესკადრილიის თვითმფრინავების ჯგუფმა წმინდა გიორგის სრუტის შესასვლელთან მოსპო 42 ათასი ტონა საერთო წყალწყვის 6 დიდი ტანკერი.

იმავე ესკადრილიის თვითმფრინავების სხვა ჯგუფმა იერიში მიიტანა ინგლისის სამხრეთ სანაპიროს აეროდრომზე.

ყუმბარები პირდაპირ მოხვდა ანგარებსა და ყაზარმებს. მიწაზე მოსპობილ იქნა 24 თვითმფრინავი. სხვა ყუმბარმშენებმა სერიოზულად დააზიანეს ხუთი დიდი სავაჭრო გემი. კვლავ დაუშინეთ ყუმბარა ნიუ-კეის (სამხრეთ უელსი) და ცენტრალური ინგლისის აეროდრომებს.

მტრის ავიაცია გერმანიის ტერიტორიაზე არ გამოჩენილა.

**ლონდონი, 2 აპრილი (საკდესი).** ოფიციალურად იუწყებიან, რომ გუშინ საღამოს გერმანიის თვითმფრინავმა რამოდენიმე ყუმბარა ჩამოაგდეს სამხრეთ-დასავლეთ ინგლისში. ზარალი უმნიშვნელოა, მსხვერპლი არ არის. 1 აპრილს ღამით გერმანიის თვითმფრინავები ინგლისში არ გამოჩენილან. ამრიგად, უკანასკნელი 9-ღამიდან 6-ღამის განმავლობაში ინგლისს საჰაერო ბომბარდირება არ განუცდია, კერძოდ, ლონდონში გერმანიის ავიაცია ზედიზედ უკვე 12 ღამეა არ გამოჩენილა.

როგორც რეიტერის სააგენტო აღნიშნავს, დღის განმავლობაში ჩამოგდებულ იქნა გერმანიის 4 ყუმბარმშენი.

ინგლისის ავიაციამ 31 მარტს ფრიზის კუნძულებთან ყუმბარა დაუშინა გერმანიის საესკადრო ნაღმოსანს. ყუმბარების პირდაპირი მოხვედრის შედეგად ნაღმოსანი გვერდზე გადაიხარა, დაბლა ფრენით სროლა აეუტეხეთ და ყუმბარა დაუშინეთ არტილერიის პოზიციებსა და გერმანიის ჯარის ტერშელინგისა და ამელანდის კუნძულებზე საპარადოდ გამწკრივებულ ჯარის ნაწილებს დიდი ზარალი მივაყენეთ.

**ნიუ-იორკი, 2 აპრილი (საკდესი).** როგორც გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი" იუწყება, გერმანიის ოთხმოტორიანი ყუმბარმშენები, რომლებიც მოტორების ხმაურის ჩამხშობი აპარატებით არიან აღჭურვილნი, ხუთი დღის განმავლობაში ყოველდღე უშენდნენ ყუმბარას ინგლისის 40 გემისაგან შემდგარ ქარავანს, მაგრამ ამ ქარავანის შემადგენლობიდან ყუმბარა მხოლოდ ერთ გემს მოხვდა. იერიშების მთელი ხნის განმავლობაში ქარავანს თან ახლდა 12 საესკადრო ნაღმოსანი.

## საომარი ოპერაციები ხმელთაშუა ზღვის აუზში

**ლონდონი, 2 აპრილი (საკდესი).** როგორც ოფიციალურად იუწყებიან, ინგლისის ავიაციამ 30 მარტს ღამით ინტენსიურად დაუშინა ყუმბარა ტრიპოლის დოკებს და ნავსაყუდელში მდგომ სავაჭრო გემებს. ბომბარდირებულ იქნა მოწინააღმდეგის აეროდრომები და თავმოყრილი ავტოტრანსპორტი ტრიპოლიტანიაში.

მტერი ამაოდ შეეცადა 31 მარტს ყუმბარა დაეშინა ბენღაზიისათვის. გერმანიის ერთი თვითმფრინავი ჩამოგდებულ იქნა, იტალიის რამოდენიმე მოიერიშე ყუმბარმშენი კი დაზიანდა. ინგლისის ავიაცია 31 მარტს თავს დაესხა მოწინააღმდეგის პოზიციებს ად-ტეკლეზანის ჩრდილოეთით და ასმარის რკინის გზის სადგურს. ბომბარდირებამ რამდენიმე ადგილას ხანძარი გამოიწვია. დესისა და ასაბის რაიონში ბომბარდირების შედეგად დაზიანებულია მრავალი სატვირთო მანქანა, ყუმბარები დავაყარეთ აგრეთვე სამხედრო საწყობებსა და ნავთსაცავებს ტანდებოში (დესის ჩრდილოეთ აღმოსავლეთით).

სამხრეთ აფრიკის ავიაციამ სამხრეთ აბისინიაში ყუმბარა დაუშინა მოწინააღმდეგის ჯარს და სამხედრო ნაგებობებს.

მოწინააღმდეგე გუშინ უშედეგოდ დაესხა თავს მალტის კუნძულს.

**ბერლინი, 2 აპრილი (საკდესი).** უმაღლესი სარდლობა იუწყება: 31 მარტს გერმანიის კორპუსის ჯავშანსატანკო ნაწილებმა გერმანიისა და იტალიის ავიაციის დახმარებით ჩრდილოეთ აფრიკაში წარმოებული საზვერავი ოპერაციების დროს ხელთ იგდეს მოწინააღმდეგის დასაყრდენი პუნქტი, რომელიც წამოწეული იყო წინ, ფრონტის ხაზზე მტრის კონტრიერიშები უშედეგო იყო. გერმანიის ჯარის ნაწილებმა ხელთ იგდეს ტყვეები. სახმელეთო ბრძოლისა და საჰაერო ბომბარდირების შედეგად მოსპობილია ინგლისის მრავალი საზვერავი ტანკი და ავტომანქანები. მტერმა საწრაფოდ დაიხია აჯადაბიის მიმართულებით. ჩვენი ზარალი უმნიშვნელოა.

## საომარი მოქმედება ალბანეთში

**ათენი, 2 აპრილი (საკდესი).** როგორც ოფიციალურად იუწყებიან, გუშინ ფრონტზე პატრულები ზვერვას ეწეოდნენ და საარტილერიო სროლა იყო. დილაადრიან მოწინააღმდეგის რაზმები ბერძნების მიერ გუშინ დაკავებულ დასაყრდენ პუნქტს მიუახლოვდნენ და ავტომატური იარაღის სროლა ასტეხეს. მოწინააღმდეგე უკუქცეული იქნა. ბერძნებმა ხელთ იგდეს 80-ზე მეტი ტყვე.

იტალიის ავიაციამ გუშინ ყუმბარა დაუშინა პატარა კატარღებს, რომლებიც ეგეოსის ზღვის ერთერთი კუნძულის ყურეში იმყოფებოდნენ. მსხვერპლი და ზარალი არ არის.

საბერძნეთის საესკადრო ნაღმოსანმა „ჰიდრამ" საბერძნეთში გადმოსხა 112 იტალიელი მეზღვაური, რომლებიც გადარჩენილ იქნენ ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში უკანასკნელად მომხდარი საზღვაო ბრძოლის რაიონში.

**რომი, 2 აპრილი.** იტალიის სარდლობა იუწყება: „საბერძნეთის ფრონტზე არსებითი არაფერი მომხდარა".

# ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

## მზადება პირველად პარტორგანიზაციებში პარტიული ორგანოების არჩევნებისათვის

### ᲑᲐᲗᲣᲛᲘ

**ᲑᲐᲗᲣᲛᲘ**, 2 აპრილი (საქდესი). ბათუმის საქალაქო საბჭოს სხდომათა დარბაზში შესდგა ბათუმის პირველადი პარტორგანიზაციების მდივნების თათბირი, მძიდეველი პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების მორიგი არჩევნების ჩატარებისადმი. თათბირზე მოხსენებით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. გ. თვალჭრელიძე.

საქ. კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის გადაწყვეტილებით 10 აპრილამდე ყველა პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში ტარდება დახურული პარტიული კრებები, სადაც კომუნისტები ეცნობიან გადაწყვეტილებებს მორიგი არჩევნების შესახებ პირველადს პარტორგანიზაციებში, ხელმძღვანელ პარტორგანოების არჩევნების ინსტრუქციას.

### ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ

31 მარტს საქ. კ. პ. (ბ) თბილისის რაიკომში შესდგა პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების თათბირი. პირველადი პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელი ორგანოების ანგარიშგებისა და არჩევნებისათვის მზადების საკითხებზე.

მოხსენებით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის რაიკომის მდივანი ამხ. გ. შენგელია, რომელმაც დამსწრეთ გააცნო მომავალი ანგარიშგება-არჩევნების წესი და მიუთითა ნაკლზე, რომელიც ჯერ კიდევ არის პარტორგანიზაციების მუშაობაში.

თათბირმა პარტიული ხელმძღვანელი ორგანოების ანგარიშგებისა და არჩევნების წარმატებით ჩატარებისათვის დასახა ღონისძიება.

(საქდესი).

### ᲛᲪᲮᲔᲗᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ

**ᲛᲪᲮᲔᲗᲐ** („კომუნისტის“ კორ.). 31 მარტს საქ. კ. პ. (ბ) მცხეთის რაიკომში ჩატარდა პირველადი პარტორგანიზაციების მდივნების თათბირი პარტიულ ორგანიზაციებში პარტორგანოების არჩევნებისათვის მზადების საკითხზე.

თათბირზე მოხსენებით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) მცხეთის რაიკომის მდივანი ამხ. ვ. თვალჭრელიძე, რომელმაც ამხანაგებს გააცნო არჩევნების ინსტრუქცია და პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში საანგარიშო-საარჩევნო კრებების ჩატარების კალენდარული გეგმა.

**Დ. ᲠᲗᲕᲔᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ**

### ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ

**ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲘ** („კომუნისტის“ კორ.). დაიწყო წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა პირველად პარტორგანიზაციებში პარტორგანოების ანგარიშგება-არჩევნებისათვის. არჩევნებისათვის მზადების საკითხი განხილულ იქნა რაიკომის ბიუროზე. რაიონის პირველადა პარტორგანიზაციებში პარტიული ორგანოების არჩევნების წარმატებით ჩატარების უზრუნველსაყოფად რაიკომის მიერ მიღებულ იქნა სათანადო ღონისძიებანი. დამტკიცებულია პირველადს პარტორგანიზაციებში არჩევნების ჩატარების კალენდარული გეგმა.

ანგარიშგება - არჩევნებისათვის მზადების საკითხებზე 30 მარტს რაიკომის პარტკაბინეტში ჩატარდა პირველადი პარტორგანიზაციების მდივნების რაიონული თათბირი, რომელზეც მოხსენება გააკეთა რაიკომის მდივანმა ამხ. შ. ჭანუყვაძემ.

**Დ. ᲡᲐᲑᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ**

## უკეთესად ვიმუშაოთ პარტორგანიზაციათა მდივნების მოამდგილეებთან

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1937 წლის თებერვალ-მარტის პლენუმზე დიდი **სტალინი**, ეხებოდა რა პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო კადრების იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისა და მათი ბოლშევიკურად აღზრდის საკითხებს, განიხილა გამკრიახობით ამბობდა: „უწინარეს ყოვლისა აუცილებელია წინადადება მივცეთ ჩვენს პარტიულ ხელმძღვანელებს, დაწყებული უჯრედების მდივნებით და გათავებული საოლქო და რესპუბლიკური პარტიული ორგანიზაციების მდივნებით, შეირჩონ განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში ორ-ორი კაცი, ორ-ორი პარტიული მუშაკი, რომლებიც შესძლებენ იყვნენ მათი ნამდვილი მოადგილეები...“

ხაზთა ბელადის დიდი სტალინის ამ ბრძნული მითითების შემდეგ საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებში დაწინაურებულ იქნენ ლენინ-სტალინის დიადი პარტიის საქმისადმი უსაზღვროდ ერთგული ამხანაგები, ახა ოგაზრდა კადრები. მათ შორის ერთერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ პარტკომებისა და პარტბიუროთა მდივნების მოადგილეებს, რომლებიც კარგად ეუფლებნენ ხელმძღვანელობის სტალინურ სტილს და ენერგიულად მუშაობენ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის შემდგომი აღმავლობისათვის. ამ სამუშაოზე მრავლად აღიზარდნენ ახალგაზრდა კადრები.

ამ მხრივ საქ. კ. პ. (ბ) წალკის რაიკომმა ჩაატარა თვალსაჩინო მუშაობა და გაბედულად დაწინაურა პირველადი პარტორგანიზაციების მდივნების მოადგილეები სპასუხისმგებელო უბნებზე. ეს ამხანაგები პირნათლად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას. მაგალითად, ამხ. ს. პეტროსიანი, პარტიის წევრი, დაწინაურებულია აიაზნის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ. ამხ. ს. არუთინოვი, პირველადი პარტორგანიზაციის მდივნის პირველი მოადგილე, დაწინაურებულია დამზადებათა კომიტეტის რწმენებულად. ამხ. კ. პოპოვი, პარტორგანიზაციის მდივნის პირველი მოადგილე დაწინაურეს წალკის კოლმეურნეობის მეძროხეობის ფერმის გამგედ და სხვ.

მაგრამ საქ. კ. პ. (ბ) წალკის რაიკომს ნაკლიც აქვს მუშაობაში. რაიკომის ბიუროს ერთხელაც არ მოუსმენია სხდომაზე საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ მუშაობენ პარტორგანიზაციების მდივნები თავიანთ მოადგილეებთან, ერთხელაც არ ჩაუტარებიათ თათბირი იმაზე, თუ როგორ უნდა იმუშაონ პარტორგანიზაციათა მდივნების მოადგილეებმა პირველად პარტიულ ორგანიზაციაში.

წალკის რაიონში სულ არის 35 პირველადი პარტორგანიზაცია, აქედან პარტბიურო მხოლოდ სამთან არსებობს. 1940 წლის თებერვალში პარტორგანიზაციების მდივნების პირველ და მეორე მოადგილეებად არჩეულ იქნა 35 კომუნისტი, ხოლო ამჟამად პარტორგანიზაციათა მდივნების პირველ მოადგილედ შუშაობს 13 კომუნისტი, მეორე მოადგილედ — 17; სხვა პარტორგანიზაციებში გადასული არიან მდივნები და მდივნების მოადგილეები — 5, მაგრამ სამაგიერად სხვა ამხანაგები დღემდე არ არიან არჩეულნი. მაგალითად, სოფ. კუშის ტერიტორიული პარტორგანიზაციიდან წასულია მდივნის პირველი მოადგილე, სოფ. ბეშლამინის საკოლმეურნეო პარტორგანიზაციიდან პირველად პარტორგანიზაციის მდივანი. მათი მაგიერი ჯერ არავინ არის არჩეული.

პარტორგანიზაციათა მდივნების მოადგილეებიდან ორი ამხანაგი მცირემცოდნეა, ეს ამხანაგები ჩაბმული არ არიან მცირემცოდნეთა სკოლებში; გარდა ამისა პარტორგანიზაციის მდივნების ზოგიერთი მოადგილე ცუდად მუშაობს თავისი იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის, სუსტად ერკვევა პარტიის ისტორიის, პარტიის პროგრამისა და წესდების საკითხებში. არც პარტორგანიზაციის მდივნები ეხმარებიან ამ საქმეში მოადგილეებს. მაგალითად, სოფ. კილის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის პირველად პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. ს. ჯეიროანოვი ნაკლებად ეხმარება თავის მოადგილეებს ბოლშევიზმის დაუფლების საქმეში.

აღსანიშნავია ისიც, რომ სოფ. კუშის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობის პირველადი პარტორგანიზაციის მდივნის მოადგილე ამხ. ზ. ნალბანდიანი სუსტად მუშაობს ბოლშევიზმის დაუფლებისათვის. იგი ვერ ერკვევა პარტიის პროგრამისა და წესდების საკითხებში. არ ყოფილა შემთხვევა, რომ მას თვითონ ჩაეტარებინა პარტიული კრება. გარდა ამისა იგი, როგორც კომუნისტი, ვერ იჩენს აეანგარდულ როლს. 1940 წელს კოლმეურნეობაში მხოლოდ 31 შრომადღე გამოიმუშავა.

ასევე სუსტად მუშაობენ სოფ. აიაზმის კოლმეურნეობის და სოფ. ედიკილის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის პირველადი პარტორგანიზაციების მდივნების მოადგილეები.

უკვე დაიწყო პირველადს პარტორგანიზაციებში პარტორგანოების არჩევნებისათვის მზადება. უნდა მივაღწიოთ იმასა, რომ ამ ანგარიშგება-არჩევნებთან დაკავშირებით გამოვასწოროთ აღნიშნული ნაკლოვანებები.

საქ. კ. პ. (ბ) წალკის რაიკომმა უკეთესად უნდა იმუშაოს პარტორგანიზაციათა მდივნების მოადგილეებთან, სისტემატურად უნდა დაეხმაროს მათ ბოლშევიზმის ისტორიის, პარტიის პროგრამისა და წესდების შესწავლის საქმეში, პარტიული და სახელმწიფოებრივი მუშაობის ბოლშევიკური სტილის დაუფლებაში.

**Შ. ᲕᲐᲡᲚᲘᲪᲝᲕᲘ**

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო - საინსტრუქტორო განყოფილების ინსტრუქტორი.

საქ. კ. პ. (ბ) სტალინირის ქალაქკომის პარტიული განათლების სახლი. სურათზე: კომსომოლტანტი ამხ. შ. გ. კაპარაგი (მარჯვენიდან) „საქ. კ. პ. (ბ) ის ტროიის მოკლე კურსის“ შესწავლის საკითხებზე კონსულტაციას უწევს (მარცხნიდან მარჯვენივ) თ. კაკიას, ა. ნიკიტინს და ი. ნადირაშვილს.

ფოტო გ. ჩერკასოვისა (საქდესის ფოტოკორონიკა).

## მიღებულ ღონისძიებათა შესრულების ბოლშევიკური შემოწმება პარტიული მუშაობის ურყევი კანონია

საქ. კ. პ. (ბ) XVII ყრილობაზე დიდი **სტალინი** ამბობდა: „... შესრულების კარგად დაყენებული შემოწმება — ეს ის პროკენტორია, რომელიც ვვეხმარება გავაშუქოთ აპარატის მუშაობის მდგომარეობა ყოველ დროს და დღის სინათლეზე გამოვიყვანოთ ბიუროკრატები და კანცელარისტები. შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ ჩვენი ხარვეზებისა და გარდვევების ცხრა მეათედი აიხსნება შესრულების სწორად დაყენებული შემოწმების უქონლობით. ეჭვს გარეშეა, რომ შესრულების ასეთი შემოწმების დროს ხარვეზები და გარდვევები უთუოდ თავიდან იქნებოდა აცილებული“.

ამრიგად, დადგენილებათა შესრულების შემოწმების ძირითადი პირობა იმაში მდგომარეობს, რომ ის, როგორც ამხანაგი სტალინი გვასწავლის, იყოს დროული, სისტემატური და არა ეპიზოდური. მხოლოდ ამ პირობით იქნება უზრუნველყოფილი პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციებში ნამდვილი შემოქმედებითი და ნაყოფიერი მუშაობა.

მაგრამ პარტიის ზოგიერთი რაიონული კომიტეტი სათანადო ყურადღებას არ აქცევს მიღებულ დადგენილებათა შესრულების სისტემატურ შემოწმებას. მაგალითად, სოფ. კუშის ტერიტორიული პარტორგანიზაციიდან წასულია მდივნის პირველი მოადგილე, სოფ. ბეშლამინის საკოლმეურნეო პარტორგანიზაციიდან პირველად პარტორგანიზაციის მდივანი. ამ სამ მაგიერი ჯერ არავინ არის არჩეული.

პარტორგანიზაციათა მდივნების მოადგილეებიდან ორი ამხანაგი მცირემცოდნეა, ეს ამხანაგები ჩაბმულნი არ არიან მცირემცოდნეთა სკოლებში; გარდა ამისა პარტორგანიზაციის მდივნების ზოგიერთი მოადგილე ცუდად მუშაობს თავისი იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის, სუსტად ერკვევა პარტიის ისტორიის, პარტიის პროგრამისა და წესდების საკითხებში. არც პარტორგანიზაციის მდივნები ეხმარებიან ამ საქმეში მოადგილეებს. მაგალითად, სოფ. კილის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის პირველადი პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. ს. ჯეიროანოვი ნაკლებად ეხმარება თავის მოადგილეებს ბოლშევიზმის დაუფლების საქმეში.

ასევე ეჭვეშაა ისიც, რომ სოფ. კუშის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობის პირველადი პარტორგანიზაციის მდივნის მოადგილე ამხ. ზ. ნალბანდიანი სუსტად მუშაობს ბოლშევიზმის დაუფლებისათვის. იგი ვერ ერკვევა პარტიის პროგრამისა და წესდების საკითხებში. არ ყოფილა შემთხვევა, რომ მას თვითონ ჩაეტარებინა პარტიული კრება. გარდა ამისა იგი, როგორც კომუნისტი, ვერ იჩენს აეანგარდულ როლს. 1940 წელს კოლმეურნეობაში მხოლოდ 31 შრომადღე გამოიმუშავა.

ასევე სუსტად მუშაობენ სოფ. აიაზმის კოლმეურნეობის და სოფ. ედიკილის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის პირველადი პარტორგანიზაციების მდივნების მოადგილეები.

უკვე დაიწყო პირველადს პარტორგანიზაციებში პარტორგანოების არჩევნებისათვის მზადება. უნდა მივაღწიოთ იმასა, რომ ამ ანგარიშგება-არჩევნებთან დაკავშირებით გამოვასწოროთ აღნიშნული ნაკლოვანებები.

საქ. კ. პ. (ბ) წალკის რაიკომმა უკეთესად უნდა იმუშაოს პარტორგანიზაციათა მდივნების მოადგილეებთან, სისტემატურად უნდა დაეხმაროს მათ ბოლშევიზმის ისტორიის, პარტიის პროგრამისა და წესდების შესწავლის საქმეში, პარტიული და სახელმწიფოებრივი მუშაობის ბოლშევიკური სტილის დაუფლებაში.

**Შ. ᲕᲐᲡᲚᲘᲪᲝᲕᲘ**

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო - საინსტრუქტორო განყოფილების ინსტრუქტორი.

## საქართველოს კ. პ. (ბ) ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ

**საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1941 წლის 7 იანვრის გადაწყვეტილებით საქ. კ. პ. (ბ) რიგებიდან გარიცხულნი არიან:**

ᲛᲐᲠᲯᲕᲐ ᲯᲐᲠᲐᲜᲘᲐᲜᲘᲫᲔ ᲘᲐᲙᲝᲑᲘᲡ, საქ. კ. პ. (ბ) წევრი 1930 წლიდან, პარტბილეთი № 1523089, პარტიული ბილეთის დაკარგვისათვის და როგორც მოწყვეტილი პარტიულ ცხოვრებას; ᲑᲘᲭᲘᲐᲠᲘ ᲘᲕᲘᲪᲘᲡᲘᲫᲔ **ᲣᲠᲣᲨᲐᲫᲔ**, საქ. კ. პ. (ბ) წევრი 1939 წლიდან, პარტბილეთი № 2860263, როგორც მოწყვეტილი ხელოვნობისათვის; ᲛᲐᲜᲯᲘ ᲘᲕᲐᲜᲘᲫᲔ **ᲐᲮᲚᲐᲜᲘᲫᲔ**, საქ. კ. პ. (ბ) წევრი 1939 წლიდან, პარტბილეთი № 1542035, როგორც მოწყვეტილი ბიეტერნარსებობისგან პროდეკეის გამოშვებისათვის; ᲘᲚᲘᲐᲖᲐ ᲘᲝᲡᲔᲤᲘᲡ-**ᲨᲕᲘᲚᲘ**, საქ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1939 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 2159546, სიმთვარალის დროს საკანდიდატო ბარათის დაკარგვისათვის.

## ᲒᲐᲕᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲝᲗ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲜᲘᲢᲐᲠᲘᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲨᲘ

ქართველი ხალხის საყვარელი შვილის ამხანაგ ლ. პ. ბერიას მითითებათა განხორციელების შედეგად თბილისის კეთილმოწყობისა და სანიტარიის ქალაქად გადაქცევის დარგში უდიდესი მიღწევებია მოპოვებული.

მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს ზოგიერთი ნაკლოვანებაც, რომელთა შორის აღსანიშნავია ქალაქის სანიტარული მდგომარეობა. ქალაქის დასუფთავების საქმეშე ამჟამად არსებული წესი ვერ აკმაყოფილებს სანიტარიისა და ჰიგიენის მოთხოვნილებას. ამ საქმის არსებითად გარდაქმნისათვის საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მეოთხე პლენუმმა მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებანი დასახა. პლენუმმა აუცილებლად სცნო მოწესრიგდეს ქალაქის დასუფთავების საქმე, ეზოების, ქუჩებისა და სკვერების გაწმენდასთვის დაწესდეს მტკიცე რეჟიმი, უზრუნველყოფილ იქნეს ნაგვის დროულად და წესიერად გაზიდვა, გამოიყოს ნაგვის გადასაყრელი ადგილები, კატეგორიულად აიკრძალოს სხვა ადგილებში ნაგვის გადაყრა და სხვა.

ცნობილია, რომ დასახლებულ ადგილებში გროვდება განსაზღვრული რაოდენობის მკვრივი და თხიერი ნაგავი—სიბინძურე. მაგალითად, სამეცნიერო კვლევითი სანიტარულ-ჰიგიენური ინსტიტუტის ერთერთი მეცნიერი მუშაკის გამოკვლეეთ დადასტურებულია, რომ თბილისში ყოველწლიურად 109.000 ტონა მკვრივი ოჯახური ნაგავი გროვდება.

ქალაქის საკანალიზაციო ქსელი იღებს და მტკვარში უშვებს 32 მილიონ კუბერ მეტრ ნაგავს, ხოლო უკანალიზაციო სახლთმფლობელებში წლიურად 82.000 კუბერი მეტრი ნაგავი გროვდება.

ამ რაოდენობის ნაგავი შეიცავს 3 ათას ტონა აზოტს, 1500 ტონა ფოსფორს და 500 ტონაზე მეტ კალიუმს, ე. ი. ამ ელემენტებს, რაც საჭიროა მეცენარეულობის კვებისა და ზრდისათვის. მეცნიერების მიერ დადასტურებულია იგივეთე, რომ ნაგავში და საერთოდ ნაყარ სიბინძურეში სხვადასხვა ბაციოლებთან ერთად მოიპოვება მთელი რიგი მავნე მიკრობები, რომლებიც იწვევენ აფეთქებულ ავადმყოფობებს.

ნაგავი, რამდენს შემადგენლობაში 25-30 პროცენტამდე ორგანიული ნივთიერება შედის, წარმოადგენს კარგ საკვებ მასალას და ხარბად იზიდავს ბუზებსა და თაგვებს, რომელნიც მეტად მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ინფეკციის გავრცელებაში. ამაკე თუ დაეუმატებთ იგივეთე, რომ ნაგავი ადვილად ლპება და გამოაყოფს მეტად მყრალსა და მავნე გაზებს, ადვილი წარმოსადგენია ის ზიანი, რაც მოაქვს ნაყარ ნაგავს. ამიტომ დასუფთავების საქმის სწორად დაყენებას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს, რასაც განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის გასული წლის დეკემბრის პლენუმმა.

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს კომუნალურ გაწყობილებასთან არსებობს დასუფთავების ტრესტი, რომელსაც ქალაქის რაიონში აქვს დასუფთავების კანტორები. მათს განკარგულებაშია 56 ერთნაგვარატონიანი ავტომანქანა, ორი დაბეული მანქანა, ორი ავტოცისტერნი ოხიერი სიბინძურისათვის, ორი სარწყავი მანქანა, 72-ცხენის ტაჩა და 4 ბენეზმატერი კასრი სიბინძურის გასაზიდავად.

გამორკვეულია, რომ ნაგვის დაგროვება - შეჩახვა სანაგვე ყუთებში სანტარულ - ჰიგიენური თვალსაზრისით არ შეიძლება დაკმაყოფილებლად მივიჩნიოთ. სანაგვე ყუთები სხვადასხვა მიცულობისა და ფორმისანი არიან და დაცლისას ნაგავი იმნეკა, რაც იწვევს დამტვერიანებასა და ბაქრის გაბინძურებას. ამ საკითხის მოწესრიგება დროებით მაინც შეიძლებოდა, რომ სახლთმფლობელებში დადგმული ყოფილიყო ისეთი კონსტრუქციის სანაგვე ყუთები, რომელიც წარმოდგენილი იყო ამხ. იოს. გომართლის მიერ და მოწონებული იყო სანიტარულ - ჰიგიენური ინსტიტუტის მიერ.

ნაგვის გაზიდვის არსებული პრაქტიკა ტაჩებითა და ავტომობილებით, იმ სახით, როგორიც ეს დღეს ხდება, აგრეთვე მიუღებელია. სპეციალა ნაგვის გასაზიდ ტრანსპორტს ჰჭირდეს თავსახური, რითაც ავიცილებდით ქუჩებში ნაგვის დაბნევას.

თუ ინსტიტუტის მიერ მოწონებული სანაგვე ყუთის კონსტრუქცია მიღებული იქნებოდა, იმ შემთხვევაში ნაგვის გადაცლა გასაზიდ ტრანსპორტში მოხდებოდა ნაგვის დაუბნევლად და საშუალება გვექნებოდა გავეგზორციელებინა ნაგვის ყუთების შენაცვლება. სანაგვე ყუთის ცვლის წესის დროს საჭირო იქნებოდა მათ გასაზიდად შემოგვეფინა პლატფორმები და ტაჩებით ნაგვის გაზიდვაც ალარ იქნებოდა საჭირო.

მტკვრის - ნაპირებზე ამჟამად არსებული ნაგვის გადასაყრელი ადგილები სრულიად მოუწყობელი და ანტისანიტარულ პირობებშია.

ნაგვის გაუნეგლებლისათვის თბილისის პირობებში საჭიროა შემოვიღოთ შემდეგი წესი: ქალაქ თბილისის ცენტრალური ნაწილისათვის, ე. ი. ჩელუსკინელების ქუჩიდან ნავთლუღამდე, მოსალოდნელის (დაახლოვებით 400.000 ათასი ტეხოვრებია) მოშსახურება უნდა სწარმოებდეს ნაგვის დაწვითა და გადამუშავებით მისი შემდგომი გამოყენების მიზნით. ამ მიზნით შესაძლებელია ყოფ. დესმონოვის მოედანზე მტკვრის მარცხენა ნაპირას კალიაევსა და ავლაბრის ხიდებს შუა, აგებულ იქნას ნაგვის გადასაძუშავებელი ქარხანა. ამით ჩვენ საშუალება მოგვეცემა შეეამოკლოთ ტრანსპორტის გასავლელი საშუალო მანძილი და დაეიყვანოთ იგი ამჟამად არსებულ 7-8 კილომეტრიდან 2½-3 კილომეტრამდე.

ქალაქის გარეუბნებისათვის შეიძლება მოვაწყოთ ეგრეთწოდებული ბიოტერმიული გაუვნებლება ნაგვისა ბეკარის სისტემის კამერების საშუალებით. ასე გადამუშავებული ნაგავი შეიძლება გამოვიყენოთ სოფლის მეურნეობის საჭიროებისათვის.

უკანალიზაციო სახლთმფლობელობიდან თხიერი სიბინძურის დროულად გატანის მიზნით შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ჩასასხესი სადგურები. სრულიად ეა სასტიკად უნდა აიკრძალოს მტკვარს გაბინძურება ნაკვლისა და თხიერი სიბინძურის ჩაშვებით.

საკანალიზაციო თხიერი ნივთიერების გამოყენება უნდა ხდებოდეს სარწყავი ველების მოწყობით აგროონომიული მიზნებისათვის. ასეთი ველები უკვე არსებობენ როგორც საბჭოთა კავშირის ზოგიერთ დიდ ქალაქებში (მოსკოვი, კიევი, ოდესა და სხვ.), აგრეთვე საზღვარგარეთაც. მაგალითად, ბერლინის სარწყავი ველები აკმაყოფილებენ მოსახლეობის ერთი მეოთხედის მოთხოვნილებას ბოსტეულითა და რძით.

საქ. კ. პ. (ბ) XVIII სრულიადსაკავშირო კონფერენციამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია სწარმოებსა და ტრანსპორტზე სანიტარულ - ჰიგიენური პირობების დაცვას. ეს გარემობა კიდევ უფრო აძლიერებს ჩვენს პასუხისმგებლობას.

ამიტომ ამ ღონისძიებათა განხორციელება უნდა ხდებოდეს წინასწარ დამუშავებული პროექტით, რაც საშუალებას მოგვცემს მივაღწიოთ სანიმუშო სანიტარულ-ჰიგიენურ პირობებს და უზრუნველყოფთ საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის გადაწყვეტილებათა განუხრელად განხორციელებას.

**ᲔᲓ. Ლ. ᲤᲝᲠᲪᲗᲔᲚᲘ**

საქ. ჯანსახკომის სანიტარიისა და ჰიგიენის ინსტიტუტის გადაწყვეტილებათა მუშაკი.

## სანიზარულ-ᲰᲘᲒᲘᲔᲜᲣᲠᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲠᲝ ᲡᲔᲡᲘᲐ

სამ დღეს გაგრძელდა საქ. ჯანსახკომის სანიტარულ-ჰიგიენური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის (დირექტორი — გ. სულაკა) პირველი სამეცნიერო სესია. ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკებმა შეკრიბეს რიგი აქტუალური პრობლემები წამოაყენეს და გადაესინჯა კომენტალური და ავადმის ჰიგიენის დარგში.

მეცნიერ მუშაკებმა ს. რაჩხოლაძემ, ე. ჯაფარიძემ, ნ. სოხაძემ, ნ. ამელაძემ და შ. ხაჩიძემ მტკვრის, სოხუმის ოდინონის შავი ზღვის სანაპროს. საკარიჭალოს სამლელი წყლების, ქუთაისის, გორისა და სოფლიის წყალსადენების შესწავლის საფუძველზე შრომელი სასარგებლო წინადადება წამოაყენეს.

საქ. სსრ დამსახურებულმა ექიმებმა ლ. წერეთელმა და მ. გიგინდიანმა ხელოვნ მოახსენეს თბილისში სამეურნეო ნაგავს დაგროვების, ქალაქის დასუფთავების ორგანიზაციის, ახალი სახლთა მშენებლობის სანიტარული-ჰიგიენური მიმოხილვისა და ერთეული საცხოვრებელ კვარტალის სანიტარული შეფასების შესახებ, რამაც დიდი ინტერესი გამოიწვია თბილისის კომუნალური მეურნეობის, მუშაკებში.

ასისტენტმა ა. ბეკანოვმა და მეცნიერ მუშაკმა ა. გაბაშვილმა სესიის ყურადღება გაამახვილეს თბილისის კანალიზაციისა და ბაბრეშუმის ძაფსახვეული ფაბრიკების ჩამდინარე წყლების სანიტარულ თვისებებზე.

მეცნიერ მუშაკებმა ა. დარიალაშვილმა, პ. კაპანაძემ, ო. ხუციტაიმ, მ. ჭეიშვილმა, გ. ზანშიეგმა და ლ. სტარინსკიმ სესიის წარდგენილს თავიანთი გამოკვლევები საკვები პროდუქტების ქიმიური შემადგენლობის, კვებითი ღირებულების, ვიტამინების შენარჩუნებისა და სხვ. შესახებ.

მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწემ პროფ. ი. ხმალიძემ სესიის გაიკონ ჰიგიენური მეცნიერებისა და სანიტარულ-ჰიგიენური ინსტიტუტის მიღწევები 20 წლის განმავლობაში, მანვე წამოაყენა სანიტარული კანონმდებლობის კოდექსის გამოცემის საკითხი.

ასისტენტმა ვ. ცაბაიძემ, მეცნიერ მუშაკებმა ნ. კოვზირიძემ, ვ. ეფიმოფლაძემ, ლ. სტარავინსკიმ, ქ. ნა 5. ზარაშვილებმა და ჯ. რიეამაძემ დაამუშავეს სანიტარული განათლებისა და ლაბორატორიული მუშაობის მეთოდიკის საკითხები.

სესიის ეს ერეზიდენტნ კომუნალური მეურნეობის სახ. კომისარიატის, თბილისის სამპეს, ულალანატრატის, ლაბორატორიებისა და სამედიცინო ინსტიტუტის კათედრების მუშაკები.

სესიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო რესპუბლიკის მთავარმა სანეტაწმენო სანიტარულმა ინსპექტორმა და საქ. სსრ ჯანსახკომის მოადგილემ ამხ. ი. ფურნგულიანმა.

## ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲐᲜᲡᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲡᲐᲠᲛᲔᲨᲘ

**ᲛᲐᲘᲐᲙᲝᲤᲡᲙᲘ**, (საქდესი). კურორტ სარმეში უკვე დამთავრდა პანსიონატებსათვის ორსართულიანი შენობის ფეხი და კეთილმოწყობა, რაზედაც 120.000 მანეთამდე დაიხარჯა. იგი კურორტ სარმის პირველი პანსიონატია. დაიწყო ავეწუხება საავტომობილო გზის შენებლობა.

## ინგლისის ავიაციის მოქმედება

**ლონდონი**, 1 აპრილი (საკ-დესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ 31 მარტს, ღამით, ბრემენსა და ემდენზე (გერმანია) ინგლისის ავიაციის ამ უკანასკნელი თავდასხმის დროს ჩამოყარეს ერთობ დიდი ყალიბის ყუმბარები, რამაც დიდი აფეთქებანი გამოიწვია. ცნობაში აღნიშნულია, რომ ემდენზე თავდასხმის დროს პირველად გამოიყენეს უდიდესი ყალიბის ყუმბარები, რომლებიც დღემდე ინგლისის თვითმფრინავებს არსად არ ჩამოუყრიათ.

როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ინგლისის სამხედრო-საჰაერო ძალები ომის დაწყებიდან თავს დაესხნენ ბრემენს 61-ჯერ და ემდენს — 37-ჯერ.

## ინგლისის ახლო აღმოსავლეთის სარდლობის კომუნიკე

**ლონდონი**, 1 აპრილი (საკდესი). რეიტერის სააგენტო კაიროდან გადმოგვცემს ინგლისის სარდლობის შემდეგ კომუნიკეს: „ლიბიაში ინგლისის მეწინავე ნაწილები 31 მარტს პირისპირ შეეყარნენ მტრის ქვეითა ჯარს და მოტომექანიზებულ ნაწილებს მერსა-ბრეგას რაიონში (ელ-აგეილის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით).

ერიტრეაში, მიუხედავად იმისა, რომ ასმარაში მიმავალი მთავარი გზა ძალზე დანგრეულია, ჩვენი ჯარის შეტევა გრძელდება. უკანასკნელი 48 საათის განმავლობაში ჩვენ წამოვიყვანეთ კიდევ 800 ტყვე, მათ შორის ბრიგადის გენერალი.

აბისინიაში ჩვენი ჯარი მიუხედავად იმისა, რომ უკანდახეულმა მტერმა აქ ძალზე დაანგრია გზები, სწრაფად მიიწევს რკინიგზისა და გზატკეცილის გასწვრივ ადის-აბების მიმართულებით. აბისინიის სამხრეთ ნაწილში იმპერიის ჯარი წინ მიიწევს მტრის ტერიტორიის შუაგულისაკენ, განსაკუთრებით რუდოლფის ტბის რაიონში".

## „ნიუს ქრონიკლი" აღმოსავლეთ აფრიკის ფრონტებზე არსებული მდგომარეობის შესახებ

**ლონდონი**, 1 აპრილი (საკდესი). გაზეთი „ნიუს ქრონიკლი" იუწყება, რომ იტალიის წინააღმდეგობის ხაზი ტანის ტბასა და რუდოლფის ტბას შორის გარღვეულია. დებრა-მარკოსიდან, კურმუკიდან, გამბელიდან და აბისინიის დასავლეთ ნაწილის სხვა მოწინავე საგუშაგოებიდან იტალიის ჯარი და სამოქალაქო მოსახლეობა უფრო დიდ ქალაქებში — დესში, ჯიმაში და ადის-აბებაში გადადის. არსებული ცნობების თანახმად, იტალიის აღმოსავლეთ აფრიკის მეფის მოადგილე ჰერცოგი აოსტა შტაბთან ერთად ერიტრეიდან ადის-აბებაში გადავიდა.

აბისინიაში, განაგრძობს გაზეთი, იტალიელებს ჯერ კიდევ ჰყავთ დიდი ძალები და საჭურვლის დიდი მარაგი აქვთ. ხოლო ინგლისის ჯარი ჯერჯერობით დიდ მანძილზე იმყოფება ადის-აბებისაგან. ჩრდილოეთის კოლონა, რომელიც ასმარის რაიონში იმყოფება, 800-ზე მეტი კილომეტრით არის დაშორებული ადის-აბებას. კოლონა, რომელიც ნეგელიდან უტევს, 650 კილომეტრითაა დაშორებული დედაქალაქს, ხოლო გენერალ კენინგჰემის ნაწილები, რომელნიც დირედაუას რაიონში მოქმედებენ, დაახლოებით 350 კილომეტრით არიან დაშორებული.

## ინგლისის ჯარმა დაიკავა ასმარა

**ლონდონი**, 1 აპრილი (საკდესი). რეიტერის სააგენტო ემყარება კაიროდან მიღებულ ოფიციალურ ცნობას და იუწყება, რომ ინგლისის ჯარმა დაიკავა ასმარა.

ასმარა არის იტალიის კოლონიის ერიტრეის დედაქალაქი. იგი წარმოადგენს კოლონიის არამარტო ადმინისტრატიულ, არამედ აგრეთვე სავაჭრო და სამეურნეო ცენტრს.

ქალაქი მდებარეობს ზეგანზე 2.347 მეტრი სიმაღლეზე. იგი რკინიგზით არის დაკავშირებული მასაუასთან (ნავსადგური მეწამულ ზღვაში) დაბიშასთან. ასმარასა და მასაუას შორის მანძილი პირდაპირი ხაზით 65 კილომეტრს უდრის, ხოლო რკინიგზით — 120 კილომეტრს. ასმარის მოსახლეობა 20 ათასი კაცისაგან შესდგება. ქალაქი იტალიის ხელში იყო 1889 წლიდან.

1 აპრილი (საკდესი).

## საჰაერო თავდასხმა მალტაზე

**ლონდონი**, 1 აპრილი (საკდესი). რეიტერის სააგენტო მალტის კუნძულიდან შემდეგ კომუნიკეს გადმოგვცემს: „30 მარტს, ნაშუადღევს, ყუმბარმშენთა „იუნკერს 88" შენაერთმა ავიაგამანადგურებლების თანხლებით დიდი სიმაღლიდან ყუმბარა დაუშინა ერთერთ ჩვენს აეროდრომს. ყუმბარები მტრის მიერ დასახულ მიზნისაგან შორს დაეცა. ბომბარდირებას არავითარი ზარალი არ მოჰყოლია, არც ადამიანის მსხვერპლი ყოფილა.

გუშინ, დილით, მტრის თვითმფრინავები დაზვერვის მიზნით დაფრინავდნენ კუნძულის გარშემო და ყუმბარა არ ჩამოუყრიათ".

## ხმელთაშუა ზღვაში მომხდარი საზღვაო ბრძოლის გამო

**ლონდონი**, 1 აპრილი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ, ლონდონში მიღებული დამატებითი ცნობების თანახმად, ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში მომხდარი დიდი საზღვაო ბრძოლის დროს იტალიელებმა დაჰკარგეს 7 ხომალდი—4 კრეისერი და 3 საესკადრო ნაღმოსანი. გარდა ამისა, ინგლისის სამხედრო-საზღვაო ავიაციის ტორპედოსანმა თვითმფრინავებმა სერიოზულად დააზიანეს იტალიის სახაზო გემი „ლიტორიოს" კლასისა.

ცნობაში აღნიშნულია, რომ იტალიის სამხედრო-საზღვაო ძალები ბრძოლის რაიონში შეიტყუა ინგლისის ერთერთმა კრეისერმა. ბრძოლის რაიონში ინგლისის სამი სახაზო გემის—„უორსპაიტის", „ბარჰემისა" და „ვალიანტის" (თვითეულის წყალწყვა 31.100 ტონას უდრის) გამოჩენა სრულიად მოულოდნელი იყო იტალიის სამხედრო გემებისათვის. ინგლისის სახაზო გემები 12 საათის განმავლობაში მისდევდნენ იტალიის კრეისერებს, რომლებსაც უფრო ადრე თავს დაესხნენ ინგლისის ტორპედოსანი თვითმფრინავები.

ცნობაში ნათქვამია, რომ ინგლისის სამხედრო-საზღვაო ძალები, რომლებიც საზღვაო ბრძოლაში მონაწილეობდნენ, ალექსანდრიაში დაბრუნდნენ (ინგლისის ფლოტის ბაზა ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში).

**ლონდონი**, 1 აპრილი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ, ინგლისის ხმელთაშუა ზღვის სამხედრო-საზღვაო ძალთა მთავარსარდლის ადმირალ კენინგჰემის განცხადების თანახმად, იტალიელებმა ომის დაწყებიდან დაჰკარგეს თავიანთი სახაზო გემების ორი მესამედი, რვადუიმიანი ქვემეხებით შეიარაღებული კრეისერებისა და საესკადრო ნაღმოსნების 50-ზე მეტი პროცენტი, ექვსდუიმიანი ქვემეხებით შეიარაღებული კრეისერებისა და საესკადრო ნაღმოსნების 25 პროცენტი და წყალქვეშა ნავების საერთო რიცხვის 20-30 პროცენტი.

## ომი ზღვაში

**ბერლინი**, 1 აპრილი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, რომ გერმანიის სამხედრო ხომალდმა ოკეანის წყლებში ჩასძირა ინგლისის სატვირთო ხომალდი „ვორლები" 4.876 სარეგისტრო ბრუტო-ტონა წყალწყვისა.

## სასწავლო ქიმიური განგაში ტემზაზე მდებარე ქალაქ კინგსტაუნში

**ლონდონი**, 1 აპრილი (საკდესი). ინფორმაციის სამინისტრო გადმოგვცემს ცნობას, რომელშიც ნათქვამია, რომ ინგლისის შინაგან საქმეთა და შინაგანი უშიშროების მინისტრმა მორისონმა ამას წინათ მოწოდებით მიმართა ინგლისის მოსახლეობას, რათა ყოველთვის მზად შეხვდეს მტრის შესაძლებელ გაზით იერიშს. ამასთან დაკავშირებით, გუშინ ტემზის კინგსტაუნში (ლონდონის მახლობლად) გამოცხადებულ იქნა სასწავლო ქიმიური განგაში. გამოყენებულ იქნა ცრემლმდენი გაზები. ქალაქის ქუჩებში მყოფმა მოქალაქეებმა მყის გაიკეთეს აირწინაღები. ქალაქის სხვადასხვა ნაწილში მოწყობილ იქნა განსაკუთრებული საგუშაგოები, რომლებიც სათანადო ახსნა-განმარტებებს აძლევდნენ აირწინაღების სწორი გამოყენების არმცოდნე პირებს.

## გაიდა იტალია-ინგლისის ომის შესახებ

**რომი**, 1 აპრილი (საკდესი). იტალიურმა გაზეთმა „ვოჩე დ'იტალიამ" გამოაქვეყნა გაიდას სტატია, გაიდა იმოწმებს გერმანიის პრესას და სწერს, რომ ინგლისელებმა აღმოსავლეთ აფრიკის ფრონტებზე თავი მოუყარეს 300 ათასი კაცისაგან შემდგარ არმიას და ჩრდილოეთ აფრიკაში სულ ცოტა 200 ათასი კაცისაგან შემდგარ არმიას. ავტორის აზრით, ახლანდელ ომში იტალიის მთავარი ამოცანა ის არის, რომ „ინგლისის რაც შეიძლება მეტი ძალები შეჰბოჭოს და ეცადოს მოჰქანცოს ისინი". გაიდას აზრით ინგლისის ტერიტორიული მონაპოვარნი თავიანთ მნიშვნელობას ჰკარგავენ ინგლისის ძალების დასუსტებასთან შედარებით, ვინაიდან ეს უკანასკნელი იწვევს მტრის ძალების შესუსტებას „ომის საერთო მსვლელობის უფრო მეტად არსებითს ფრონტებზე". გაიდა შემდეგ აცხადებს, რომ საბერძნეთის ფრონტიც ჰბოჭავს ინგლისის დიდ ძალებს. გაიდა სწერს, „სალონიკში უკვე გადმოვიდა ინგლისისა და ავსტრალიის 100 ათასზე მეტი ჯარისკაცი, ამას გარდა, კრეტის კუნძულზე თავმოყრილია ბრიტანეთის ორი დივიზია".

## უცხოეთის ქრონიკა

★ ქალ. მარსელის პოლიციამ (საფრანგეთი) დააპატიმრა 13 კომუნისტი, მათ შორის რამდენიმე ქალი.

★ ამერიკის ხელისუფალთ განაცხადეს, რომ მათ განზრახული აქვთ პატიმრობაში ამყოფონ გერმანიისა და იტალიის კონფისკებული სავაჭრო გემების ეკიპაჟები, სანამ განიხილება საკითხი მათი ამერიკის შეერთებულ შტატებიდან გასახლების შესახებ. ამ ეკიპაჟების წევრთა შორის არის 775 იტალიელი და 100 გერმანელი.

გერმანიისა და იტალიის საელჩოებმა პროტესტი განუცხადეს ამერიკის მთავრობას იმის წინააღმდეგ, რომ ამერიკის ხელისუფალთ კონფისკაცია უყვეს ამერიკის შეერთებულ შტატებში მყოფ გერმანიისა და იტალიის გემებს.

★ რუზველტმა განაცხადა, რომ უახლოეს ხანში საბერძნეთს გაეგზავნება 75 მილიმეტრიანი რამდენიმე ქვემეხი და სხვა საჭურველი.

★ ქალ. სან. პაულუს პოლიციამ (ბრაზილია) დაატყვევა 30 კომუნისტი.

★ იტალიის საზღვაო სამინისტრო კატეგორიულად უარჰყოფს ხმებს იტალიის კრეისერის „ჯიოვანი დელე ბანდე ნერეს" ჩაძირვის შესახებ.

თბილისი. ლ. ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ტანვარჯიშე სტუდენტთა ვარჯიში. ფოტო გ. ლინგისა.

## მედსანშრომის კავშირის პროფაქტივის კრებაზე

ვოროშილოვის სახელობის კლუბის დარბაზში ჩატარდა თბილისის სამედიცინო-სანიტარული დაწესებულებების მუშაკთა პროფესიული კავშირის აქტივის კრება, რომელსაც 200-ზე მეტი კაცი დაესწრო.

აქტივის კრებამ განიხილა თბილისის საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილების გამგის ამხ. გ. ცაგარელის მოხსენება 1940 წლის შედეგებზე და მედსანშრომის კავშირის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლის ამხ. ტ. სიმონიშვილის ინფორმაცია 1940 წლის სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შესახებ.

კრებაზე ფართოდ გაიშალა კრიტიკა. კამათში გამოსულმა მედმუშაკებმა (პროფ. მ. ზანდუკელმა, ლ. კამალოვამ, გ. არუშანოვამ, გ. კვაშალმა, მ. იმნაძემ და სხვ.) გააკრიტიკეს თბილისის საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილების მუშაობა და საქართველოს მედსანშრომის კავშირის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობა თბილისის სამკურნალო დაწესებულებებში გაშლილი სოციალისტური შეჯიბრებისადმი. მოკამათეებმა ხაზი გაუსვეს იმ გარემოებას, რომ მედსანშრომის კავშირის ორგანოები უფრო ქაღალდების საშუალებით ხელმძღვანელობდნენ შეჯიბრებას და სისტემატურად არ ამოწმებდნენ შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობას.

უნდა აღინიშნოს, რომ აქტივის კრებაზე, რომელიც საათნახევრის დაგვიანებით დაიწყო, რატომღაც ნაკლები ილაპარაკეს იმ ამოცანებზე, რომლებიც საკ. კ. პ. (ბ) XVIII სრულიად-საკავშირო კონფერენციამ დასახა საწარმოებსა და რკინიგზებზე სანიმუშო სისუფთავის დაცვის დარგში. ამ მხრივ კი საბჭოთა მედიცინის მუშაკებს ბევრის გაკეთება შეუძლიათ.

აქტივის კრებაზე გარდამავალი დროშები გადაეცა თბილისის მე-13 პოლიკლინიკას (გამგე ამხ. ს. მარქაროვი), სტუდენტთა ქალაქის № 10 პოლიკლინიკას (გამგე დ. ჩოჩუა) და ბავშვთა ბაგების მუშაობის საუკეთესოდ დაყენებისათვის—თბილისის ლენინის რაიონის ჯანმრთელობის განყოფილებას.

## რადიოგადაცემა დღეს

12.00 — ლიტერატურული გადაცემა ქართულ ენაზე, ა. გოცირიძის მოთხრობა „მზია"; 12.30 — კონცერტი: პროგრამაში ქართველ კომპოზიტორთა რომანსები; 12.58—დროის შემოწმება; 13.00—უკანასკნელ ცნობათა დღის გამოშვება; 13.15—საესტრადო კონცერტი (მოსკოვიდან); 14.00—მასალები გაზეთებიდან; 14.15—მე-4 გადაცემა ციკლიდან—„რუსული საფორტეპიანო მუსიკა", ტრანსლაცია მოსკოვიდან; 16.50—გადაცემათა პროგრამა ქართულ და რუსულ ენებზე; 17.00—გადაცემა პიონერთა და მოსწავლეთათვის—„რა არის უვერტიურა"; 17.30 — ინფორმაციები; 17.45—საუბარი ქართულ ენაზე: „ვიბრძოლოთ ვაგონსათების შემდგომი ეკონომიისათვის"; 18.00—საქ. რადიოკომიტეტის საკონცერტო ანსამბლის გამოსვლა; 18.55—საბახობათა დაწესებულებების განცხადებები; 19.00—უკანასკნელ ცნობათა საღამოს გამოშვება ქართულ და რუსულ ენებზე; 19.30—საოპერო მუსიკის კონცერტი; 20.00—ტრანსლაცია ლენინის ორდენის ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თბილისის სახელმწიფო თეატრიდან: დოლიძის ოპერა „ქეთო და კოტე"; 23.30—საესტრადო კონცერტი; 00.10—უკანასკნელი ცნობები ქართულ ენაზე; 00.30—უკანასკნელ ცნობათა ღამის გამოშვება (მოსკოვიდან).

## გალაკტიონ ტაბიძის საღამო

4 აპრილს, საღამოს 8 საათზე, პლეხანოვის სახელობის კლუბში ეწყობა სახალხო პოეტის გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებისადმი მიძღვნილი საღამო. მასში მონაწილეობას მიიღებენ მწერლები და პოეტები: შ. დადიანი, ირ. აბაშიძე, ი. გრიშაშვილი, ს. ჩიქოვანი, გ. ქუჩიშვილი, ალ. გომიაშვილი, რ. ქორქია, გ. კაჭახიძე, მ. მრევლიშვილი, ვ. გორგაძე, ბ. სერებრიაკოვი, ა. თევზაძე და სხვ.

კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ ვ. გოძიაშვილი, ს. ზაქარიაძე, თ. ჭავჭავაძე და ა. ვარდიაშვილი.

**8 აპრილს, საღამოს 7 საათზე, გაზ. „კომუნისტის" რედაქციის მუშსოფლკორთა კაბინეტში (ლენინის ქ. № 28, მე-4 სართული, ოთახი 17) შესდგება რედაქციასთან არსებული ძირეული პრესის მუშაკთა გადასამზადებელი კურსების მსმენელთა**

**მორიგი მეცადინეობა**

დასწრება სავალდებულოა პარტრაიკომების მიერ შერჩეული ამხანაგებისათვის.

**გაზ. „კომუნისტის" რედაქცია**

## „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ"

### გორის თეატრში

30 მარტს გორის სახელმწიფო თეატრმა მაყურებელს უჩვენა თავისი მორიგი პრემიერა ავქ. ცაგარლის უკვდავი კომედია „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ". დადგმა რესპუბლიკის სახალხო არტისტის ა. ფრანგიშვილისა, მხატვრობა—ბიკოვისა, მუსიკა — გ. ლაფერაშვილისა.

მთავარ როლებს ასრულებდნენ მსახიობები—ალ. კალანდარიშვილი (ქიჟუა), შ. იმერლიშვილი (დავითი), ს. გრიქუროვი (ავეტიკა), რესპ. დამს. არტისტი თ. აბაშიძე (ოროშსე), შ. ხაჯალია (კოშტაია), ლომსაძე (საქუღა), შ. ლელაშვილი (მოურავი), ბ. ყრუაშვილი (ხაჭარია), შ. ბახტაძე (ფირუზა), კახნიაშვილი (სოსანა) და სხვ.

წარმოდგენა კარგად მიიღო მაყურებელმა, რომელმაც ტაშით დააჯილდოვა თეატრის მთელი კოლექტივი.

## ლ. კეცხოველის სახელობის პარტიული პროპაგანდის სახლში

**4 აპრილს, საღამოს 9 საათზე**, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ლ. კეცხოველის სახელობის პარტიული პროპაგანდის სახლის სალექციო დარბაზში ქართულ ენაზე ჩატარდება მორიგი ლექცია თემაზე: **„სსრ კავშირის შექმნა და პარტიის ბრძოლა ორ ფრონტზე ნაციონალურ საკითხში"** (საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის ლექციათა ციკლიდან).

ლექციას წაიკითხავს ამხ. **იმედაშვილი**.

## ლ ე ქ ც ი ა

**დღეს, 8 აპრილს, საღ. 8 ს. 30 წ.**, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის მოლოტოვის სახელობის რაიკომის პარტკაბინეტში (ხეთაგუროვის ქ., № 2) შესდგება ამხ. **ჯაფარიძის** ლექცია ქართულ ენაზე. თემა: **„საერთაშორისო მდგომარეობა"**.

## პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის მოლოტოვის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1540468, გაცემული შაქრო გიორგის-ძე **ხოდაშელის** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.


## დღეს თეატრებსა და კინოებში

**თეატრებში:** სახოპერა — „ქეთო და კოტე" (მე-11 აბ. მე-8 წარმ.), რუსთაველის სახელობის — „უკანასკნელი რაინდი", მარჯანიშვილის სახელობის — „კრემლის კურანტები" (სერია მე-2 აბ. მე-6 წარმ.), გრიბოედოვის სახელობის—„პროვინციული ისტორია". მუსკომედია—„ხაჯარათი", სანკულტურის ქართული თეატრი — „ბრმა მუსიკოსი", მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი—„პატარა მეომრები" (ღია წარმოდგენა). სახ. ესტრადა — „ოტელო" ფაფაზიანის მონაწილეობით.

**კინოებში:** რუსთაველის სახ.—„ვალერი ჩკალოვი", ოქტომბერი — „ვალერი ჩკალოვი", დამკვრელი — „ვალერი ჩკალოვი". დღისით — „საჰაერო ფოსტა", კომკავშირელი — „სუვოროვი", სპარტაკი — „ოქროს მთები" დღისით—„ჩაპაევი", ლუქსემბურგის სახ.—„კონცერტი-ვალსი", 26 კომ. სახ.—„ვალერი ჩკალოვი", კომინტერნი — „თოფიანი კაცი", განთიადი — „ვალერი ჩკალოვი". წითელი არმიის სახლი — „უკანასკნელი ბანაკი", ვოროშილოვის სახელობის კლუბი —„სუვოროვი"; მეცნიერება და ცოდნა —„ვიტამინები" და სხვ., საზკვების კავშირის კლუბი — „ბელა". ნავთლუღის რკინიგზის კლუბი — „სალავათ იულაევი", ბერიას სახელობის კულტურის სახლი — „ვაჟკაცობა".



პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხალიაშვილი


## ქ. თბილისში ეზოების, ქუჩების, ტროტუარების და მოედნების სუფთად შენახვისა და ნაგვის გატანის წესის შესახებ მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1940 წ. 22 ნოემბრის

# ს ა ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ო დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისის სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესების და დასუფთავებისა და ნაგვის გატანის საქმის მოგვარების მიზნით მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი **ადგენს:**

1. დასუფთავებისა და ნაგვის გატანის მთელი სამუშაოები თავმოყრილ იქნას მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის კომუნალურ განყოფილებასთან არსებულ დასუფთავების ტრესტსა და მშრომელთა დეპუტატების ქ. თბილისის რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების კომუნალურ განყოფილებებთან არსებულ დასუფთავების რაიონულ კანტორებში.

2. ეზოების, ქუჩების, მოედნებისა და ტროტუარების დასუფთავება შეადგენს სახლთმფლობელობათა და სახლმმართველობათა მოვალეობას და მას აწარმოებენ დასუფთავების ტრესტი და რაიონული კანტორები ხელშეკრულების საფუძველზე იმ დაწესებულების, სახლმმართველობის, სახლმფლობელის, მოიჯარისა და მენაშენის ხარჯზე, რომლის სარგებლობაში მყოფი ნაკვეთიც ამ ქუჩებს, მოედნებს და ტროტუარებს ეკვრის.

3. ქუჩების (მოკირწყლული და მოუკირწყლავი), შესახვევებისა და ტროტუარების ფართობი, რომლის დასუფთავება სავალდებულოა თვითეული სახლმფლობელისა და სახლმმართველობისათვის, განისაზღვრება სიგრძეზე—სამფლობელოს სიგრძით ქუჩის გასწვრივ, ხოლო სიგანეზე—შუა ქუჩამდე.

მოედნის ფართობი, რაც უნდა დასუფთავდეს ცალკეული სახლმმართველობისა და სახლმფლობელობის ხარჯზე, განისაზღვრება 16 მეტრის სიგანით მფლობელობის საზღვრიდან, მოედნის დანარჩენი ტერიტორია კი უნდა დასუფთავდეს მშრომელთა დეპუტატების სათანადო სარაიონო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ხარჯზე.

4. იმ ქუჩებისა და ტროტუარების დასუფთავება, რომლებიც ეკვრიან ცარიელ ადგილებს და მიწის იმ ნაკვეთებს, სადაც დანგრეული ან დაუმთავრებელი შენობებია, და აგრეთვე საცხოვრებლად გაცემულ სავაჭრო-სამრეწველო სადგომებს, — ეკისრება მშრომელთა დეპუტატების სათანადო რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს და ეს დასუფთავება ხდება დასუფთავების ტრესტის, რაიონული კანტორების მიერ მათ ხარჯზე.